მაისი
1938 წ.
№ 146

დამოუკიდებელი საქართველო

La Géorgie Indépendante
Revue mensuelle
MAI
1938 — № 146

საქართველოს პოლიტიკური პარტიების ორგანო.

ოცი წელი

წელს 26 მაის სრულდება ოცი წელიწადი მას შემდეგ რაც ქართველმა ერმა დალეწა უცხო ბოროკილები და დამოუკიდებლობა გამოაცხადა.

26 მაის 1918 წ. რუსეთის ასი წლის ბატონობა და სრულებულათ მან აღიარა და საკუთარი სახელმწიფო დაარსა.

მეთექვსმეტე საუკუნიდან დანაწილებული, დაქსაქსული, მრავალჯერ დარბეული და ბოლოს მოსკოვის უღელში მოქცეული ჩვენი სამშობლო დიდებულ მაის მკვდრეთით აღდგა, აღდგა ნაციონალურათ გამთელებული, ერთ შეგნებულ თვითმართველ ერთეულათ გადაქცეული. თავისუფალმა საქართველომ მოიპოვა თავისი ისტორიული ტერიტორია, ჩადგა საკუთარ გეოგრაფიულ კალაპოტში და გახდა ღირსეული მემკვიდრე ძველი საქართველოსი.

როგორ შეასრულა მან ეს ახალი მოწოდება? გაამართლა კი ეს მოპოვებული ბედნიერება?

მოიგონეთ რა დრო იყო ამ ოცი წლის წინეთ, რა ხდებოდა რუსეთის იმპერიის კიდის კიდემდე; იქ მძინვარებდა ძმათა ქლეტა, ყველა ერში გუგუნებდა ცეცხლის კოცონი, იღვრებოდა სისხლის მდინარეები, ინგრეოდა ურიცხვი სიმდიდრე, სამოქალაქო ომს ეწირებოდა აუარებელი ადამიანები. აი ამ უზარმაზარ ტერიტორიაზე ერთათ ერთ პატარა საქართველოში ბატონობდა წესიერება, მყუდროება და წარმოებდა აღმშენებლობითი მუშაობა. ყველა დევნილი და წამებული ჩვენში მორბოდა და აქ პოულობდა უშიშროებას და მოსვენებას. იქ, კავკასიის ქედს გადაღმა, სტიქიამ დაიმორჩილა ხალხი და უგზოუკვლოთ აათამაშა. აქ, საქართველოში, ხალხმა დაიმორჩილა აზვირთებული სტიქია და თავის ჭკვაზე აამუშავა. მან უარყო როგორც ქაოსი და ანარქია, ისე ბარბაროსობა და რეაქცია. აზვირთებული რევოლიუცია ქართველმა ხალხმა დაბა, მისი უარყოფითი მხარეები შორს გადაუძახა, დადებითი მხარეებს ხელი მედგრათ წაავლო და თავის სამსახურში ჩააყენა.

ეს არ არის დღევანდელი დაფასება გავლილი ისტორიის; ეს ასე ესმოდა ქართველობას მაშინაც, როცა ავარდნილ გრიგალში საქმიანობდა. ეს საერთო დაფასება მე გამოვთქვი დამოუკიდებლობის ექვსი თვის თავზე, 1 დეკემბერს 1918 წ. საქართველოს პარლამენტში შემდეგი სიტყვებით: «მხოლოდ ჩვენსში თავისუფლება არ შეიქმნა წესიერების მტერი; წესიერებამ მხოლოდ ჩვენსში პოვა თავისუფლებაში თავისი საძირკველი. მთელ რუსეთში რევოლიუციით მიღებულ თავისუფლებამ გამოიწვია ერთი მხრით არევ დარევა, მეორე მხრით კონტრევოლიუცია. და მხოლოდ ჩვენს საქართველოში ამ რევოლიუციას მიეცა ღირსეული ხელმძღვანელობა, გონიერი მეთაურობა» (იხ. სტენოგრამა).

ქართველმა ერმა სავსებით დაიჭირა ეს ისტორიული გამოცდა, მან საქვეყნოთ დაამტკიცა თავისი სახელმწიფოებრივი მომწიფება. რით? ერთათ ერთი გზით, თავისი ნაციონალური დისციპლინით, ერთათ დგომით, ერთათ შეტევით, ერთათ მუშაობით. განა ჩვენში არ იყვენ მემამულეთა და უმამულოთა წოდებები? მაგრამ ისინი ერთმანეთს არ დარევიან, ძმათა სისხლი არ დაუღვრიათ. ყველა კლასი და წოდება ამაღლდა თავის ინტერესებზე და თავისი ქონება და შეძლება ნაციონალური აღორძინების სამსხვერპლოზე მიიტანა. ვის არ ახსოვს თავად-აზნაურობის დაუვიწყარი აქტი, მისი წინამძღოლის აბხაზის მიერ საჯაროთ გამოცხადებული: ქართველი თავად-აზნაურობა სამუდამოთ უარსყოფს თავის წოდებრივ უფლება-უპირატესობას და მთელ თავის კოლექტიურ ქონებას უთმობს განთავისუფლებულ ქართველ ერს! მან სრულიად უპროტესტოთ მიიღო აგრარიული რეფორმა, მუქთათ მამულების ჩამორთმევა და უმიწაწყლო გლეხობისათვის საკუთრებათ დარიგება. განა მუშათა და გლეხთა გვარდია არ ასამართლებდა მოყაჩაღო გაბალშევიკებულ სოფლის ნაძირალებს, რომელნიც აქა-იქ თავადებს თავს ესხმოდენ, რუსული მეთოდები ჩვენსში გადმოქონდენ?

ამ კრიტიკულ დროს, ამ მძიმე პირობებში გამოჩნდა ქართველი ერის სიდიადე, მისი უმაღლესი იდეალიზმი, მისი უწმიდესი სული, ერთიმეორისათვის თავის დადება, ნაწილების გამთელება, ერთი ეროვნული მაჯის ცემა, საერთო ფერხულში თავისუფლათ ჩადგომა. მან ღირსეულათ დაიმსახურა 26 მაისი.

ქართველი ხალხის ეს ღირსება არ გამოხატულა მარტო ამ თვისებებში, მარტო დისციპლინაში და ერთობაში. სახელმწიფოს აღშენებისათვის ეს არ კმარა; ეს მხოლოდ პირობაა, საფუძველია, რაზედაც უნდა დაეყრდნოს ნაციონალური შემოქმედება, რა გააკეთა ამ მხრით ქართველობამ? მე წილათ მხვდა ამ საკითხზე პასუხი მიმეცა ქვეყნისათვის ექვსი თვის თავზე ზემოთ მოხსენებულ ჩემს სიტყვაში; მე ვთქვი:

«მხოლოდ ამ პირველი ექვსი თვის განმავლობაში მოგვეცა ჩვენ საშუალება რთული სახელმწიფო შენობის ასაგებათ. ამ მოკლე დროში ჩვენ შევქენით ადმინისტრაცია, შემოვიღეთ ერობა, განვახორციელეთ აგრარიული რეფორმა, შევქენით და ავაწყვეთ სახელმწიფო ქონება ფართე მასშტაბით, შევქენით ჯარი, დავაწესეთ საბაჟოები, შემოვიღეთ გადასახადების ახალი სისტემა, გავაუმჯობესეთ მიმოსვლა, გავაფართოვეთ ფოსტა-ტელეგრაფის ქსელი, მრავალ მაზრებში და სოფლებში გავიყვანეთ ტელეფონი, გავხსენით მრავალი სასწავლებელი სამშობლო ენაზე, დავაარსეთ პირველი ქართული უნივერსიტეტი, შემოვიღეთ მართლმსაჯულება ქართულ ენაზე.. ერთი სიტყვით მივიღეთ ყველა ზომა ჩვენ ახალგაზდა სახელმწიფოს მისცემოდა სახე ნამდვილი სახელმწიფოსი» (იქ.).

სადღაა ახლა ეს საქართველო? ის აღარ არის, მას მოუბრუნდა მოსკოვი ფიცის გამტეხი და მოსტაცა თავისუფლება. 17 წელიწადია ქართველი ერი გმინავს ბოლშევიკების უღელს ქვეშ; მას აყარეს ყველა უფლება, მას წაართვეს მთელი ქონება, ის აქციეს უენო პირუტყვათ; მაგრამ ვერავითარ ზომით ის ვერ გადააქციეს თავის მონებათ, ვერ ამოართვეს მას სული ძლიერი, იდეალი თავისუფლების, რწმენა საბოლოო გამარჯვების. ერის ნაციონალური დისციპლინა კიდევ უფრო ძლიერია ამ ჯოჯოხეთურ გაჭირებაში, ერთი ქართული ფრონტი ტანჯული ხალხის ქვითკირია. ის მუდმივ, შეუჩერებელ ბრძოლაშია მოსკოვის ძალმომრეობასან, ინთხება ზღვა სისხლი, იწირება აუარებელი მსხვერპლი, დედამიწა იპკურება შეუშრობელი ცრემლით, მაგრამ მებრძოლი ერი მტერს არ ნებდება, მისი სულიერი სიმაგრე არ ტყდება, თვალახილული მამაცურათ წინ იხედება. შორს აღარ არის ის დრო, როცა მისი აღდგომის ზარი დაირეკება...

ნ. ჟორდანია.

VINGT ANS

Vingt ans se sont écoulés depuis que la nation géorgienne a brisé les chaînes étrangères et a proclamé son indépendance

Le 26 Mai 1918 elle a solennellement annoncé la fin de la domination séculaire russe et a fondé son État national.

Depuis le XVIe siècle la Géorgie morcelée, dévastée maintes fois, tombée enfin sous le joug moscovite, a réssuscité, se relevant nationalement unie et politiquement consciente. La Géorgie libre a retrouvé son territoire historique, s'est remise dans ses frontières naturelles et devient la digne héritière de l'ancienne Géorgie.

Comment a-t-elle atteint cette renaissance glorieuse ? Rappelez-vous ce qui se passait à cette époque sur l'immense territoire de l'Empire russe ! Toute son étendue était embrasée par un feu déchaîné, la guerre civile y sévissait, le sang humain coulait à flots, ses richesses innombrables disparaissaient sous les ruines. Sur ce territoire immense il n'y avait que la petite Géorgie qui maintenait l'ordre intérieur et continuait paisiblement le travail constructif. Toutes les personnes persécutées accouraient chez nous de tous les côtés et trouvaient là la tranquillité et la sécurité. Tandis que là-bas, au-delà des chaînes caucasiennes, les éléments aveugles avaient subjugué les hommes en se jouant d'eux, ici, en Géorgie, c'est le peuple qui a maîtrisé les éléments libérés et les a guidé à sa guise. Il a renié l'anarchie et le chaos aussi bien que la barbarie et la réaction. Il a repoussé le côté négatif de la grande Révolution et a mis à son service ses qualités positives.

Cette caractéristique des événements passés n'est pas un jugement contemporain. J'ai exprimé le même jugement — qui était celui de

tout notre peuple — dans mon discours au Parlement national le 1er Décembre 1918, en disant : « chez nous seulement la liberté n'est pas devenue l'ennemie de l'ordre. Chez nous seulement l'ordre a trouvé dans la liberté son soutien principal. Dans toute la Russie, la liberté conquise par la Révolution a déchaîné, d'un côté, l'anarchie, de l'autre, la contre-révolution. Dans notre pays seulement cette Révolution a trouvé une direction intelligente et digne d'elle ».

La nation géorgienne a soutenu brillamment cette épreuve historique. Elle a démontré au monde entier sa maturité et sa capacité de se gouverner librement. Elle a obtenu ce résultat par un seul moyen : la discipline nationale.

Car chez nous aussi il y avait des grands propriétaires terriens et une masse paysanne pauvre. Mais ils ne se sont pas combattus entre eux et n'ont pas déclanché la guerre civile. Toutes les classes de la nation se sont élevées au-dessus de leurs intérêts privés en apportant à l'autel de la renaissance nationale toutes leurs richesses et toutes leurs capacités. Qui ne se souvient de l'inoubliable acte de la noblesse proclamé publiquement par son chef le Prince Abkhasi : « la noblesse géorgienne renonce pour toujours à tous ses prérogatifs et cède tout son bien collectif à la nation libérée ». La noblesse a accepté sans aucune protestation la réforme agraire, l'expropriation gratuite des grands terrains et leur distribution aux paysans nécessiteux en propriété privée. C'est la Garde Populaire, composée exclusivement d'ouvriers et de paysans, qui arrêtait et jugeait sévèrement les bandes des bolchéviks qui attaquaient dans les villages, par-ci par là, les nobles, important ainsi chez nous la méthode russe.

C'est dans ces circonstances critiques que le peuple géorgien a démontré son âme élevée, son idéalisme, sa solidarité intérieure. Il a bien mérité le 26 Mai !

Mais cette discipline nationale ne forme que la base sur laquelle s'appuie le travail créateur d'un peuple. Quel était donc le résultat de ce travail ? J'ai eu l'honneur de l'exposer au Parlement géorgien 6 mois après la proclamation de l'indépendance. J'ai dit : « Ce n'est que pendant ces premiers 6 mois que nous avons eu la possibilité de commencer l'édifice de notre Etat. Dans ce cours laps de temps nous avons créé l'administration, introduduit l'autonomie provinciale, réalisé des réformes agraires, acquis des biens nationaux d'une grande richesse, organisé l'armée, établi les douanes, introduit un nouveau système d'impôts, amélioré les communications, étendu le réseau de poste et télégraphe, amené les lignes téléphoniques dans de nombreux districts et villages, ouvert de nombreuses écoles en langue maternelle, créé la première Université géorgienne, institué une justice nationale..., en un mot avons pris toutes les mesures pour donner à notre jeune Etat le visage d'un Etat véritable.» *)

C'est de ce pas accéléré que marchait le travail créateur dans la Géorgie libre.

Où est maintenant cette Géorgie ? Elle n'est plus... Le Moscou parjure l'attaqua traîtreusement et lui a ravi sa liberté.

17 ans déjà la nation géorgienne souffre sous le joug bolchévik. Un peuple qui voulait vivre en liberté est tombé en esclavage. Il a perdu tout : son territoire, ses institutions populaires, son bien privé et publique, ses droits politiques et civils, mais, dans cette débâcle générale, il a conservé un bien précieux : la volonté et l'espérance de tout recouvrir. Le peuple géorgien lutte courageusement pour briser ses chaînes. Il se redresse comme dans son passé historique, sa force vitale et son énergie combative accumulées dans les épreuves se sont réveillées. La nation fut vaincue physiquement par une force mille fois supérieure, mais elle ne le fut pas moralement. Elle continue à tenir ferme dans cette lutte pour la liberté. La stricte discipline nationale, le front commun géorgien, voici les armes de cette lutte tenace. Cette lutte inégale fait d'innombrables victimes, le sang coule à flots, le sol s'empreigne de larmes, mais la ténacité du peuple ne fléchit jamais. Courageusement, avec espérance, il marche vers l'avenir.

Le temps est proche où la cloche de sa délivrance sonnera. Nous sommes convaincus que le peuple qui veut être libre sera libre.

N. JORDANIA.

*) Voir le sténogramme de la séance du Parlement du 1er Décembre 1918.

LA GÉORGIE ÉTERNELLE

La Géorgie est morte? Non : la Géorgie est vivante, la Géorgie ne peut pas mourir.

Ce n'est pas une *phrase* que je viens d'écrire, c'est une *réalité* que je viens de constater. Une erreur est très répandue dans le monde : elle consiste à juger de la vie des peuples d'après les circonstances extérieures de leur existence. Si un Etat est momentanément subjugué par la force, on considère que la nation qui le forme est morte. C'est faux, et toute l'histoire en témoigne : seules meurent les nations dont l'âme est morte, et il leur arrive parfois de mourir au moment où tous les signes extérieurs de la puissance leur appartiennent. L'immense, le formidable empire austro-hongrois s'est effondré parce qu'il n'y avait pas d'âme austro-hongroise. Il a pu annexer la Bosnie-Herzégovine, mais tôt après il n'a pu survivre lui-même aux infortunes de la guerre universelle.

Voyez au contraire la Pologne : pendant près d'un siècle, toutes les tentatives de recouvrer son indépendance ont échoué, et les pessimistes affirmaient que son tombeau était scellé à jamais. Eh bien, elle a vécu quand même, et elle est ressortie de son tombeau parce que, tout au long de ses infortunes, elle a *voulu vivre,* parce que jamais son cœur n'a cessé de battre, parce que ses écrivains, ses poètes, ses musiciens ont exalté dans le monde entier les souvenirs glorieux de son histoire et ont préparé ainsi, à l'extérieur comme à l'intérieur, le retour à une ère d'indépendance.

Il n'en sera pas autrement, j'en ai le ferme espoir et la conviction profonde, de la Géorgie, avec cette différence que la période d'épreuves qu'elle est appelée à traverser douloureusement sera moins longue. La grande famille géorgienne a une vitalité que rien ne peut détruire. Elle a un magnifique passé glorifié par Rousthavéli. Au lendemain de la conflagration générale, elle a fourni la preuve qu'elle était capable de s'adapter, dans un régime de liberté, aux conditions de la vie moderne. Depuis le jour fatal où, rompant les traités librement signés, les hordes de l'U. R. S. S. ont déferlé sur la Géorgie, elle ne s'est pas un instant abandonnée au désespoir. Sur les rives de la Koura comme dans les défilés de Darial ou dans la plaine de Koutaïs, dans les capitales étrangères où ses enfants exilés attendent l'heure de la délivrance et travaillent à hâter son avènement, partout les Géorgiens et les Géorgiennes, les enfants et les vieillards restent fidèles à leur idéal patriotique et ont foi en l'avenir de la Géorgie. Non pas une croyance superstitieuse et fataliste qui engendre tous les abandons, mais une véritable foi, active, vivante, communicative. qui entretient la flamme du flambeau sacré et la fait briller, malgré les ténébres de l'heure actuelle, aux yeux émerveillés de tous les amis que la Géorgie compte dans le monde.

Il y a bientôt vingt ans, au milieu des vertes frondaisons des bords de la Mer Noire, dans les campagnes riantes d'Iméréthie, parmi les pins de Bakouryani, sur les pâturages du Grand Caucase, dans la grande ville de Tiflis, j'ai vécu pendant quelques semaines de la vie heureuse, de la vie exubérante de la nation géorgienne souveraine et libre. Et j'en conserverai le souvenir ému jusqu'à mon dernier jour. Mais si, spontanément et sans aucun effort, j'ai aimé la Géorgie dans ses jours de joie et de prospérité, j'ai appris depuis lors à l'aimer plus profondément encore quand j'ai vu avec quelle dignité, quelle grandeur, quelle foi elle a survécu au milieu des malheurs les plus affreux et des persécutions les plus atroces. Pas de plaintes, pas de lamentations, pas de récriminations : un vrai Géorgien ne se plaint pas, ne se lamente pas, ne récrimine pas. Quand la douleur le torture, il serre les dents et il patiente. Et, parce qu'en son cœur et en son âme s'accumulent des forces vives qui n'attendent que l'heure propice pour s'épandre au dehors, la Géorgie vit, la Géorgie vivra, la Géorgie redeviendra libre et indépendante sous le beau ciel du Caucase.

Il est dur d'attendre, d'attendre encore. Mais il le faut. Et si la génération ancienne ne peut achever son œuvre, une génération nouvelle, élevée dans le culte des souvenirs nationaux (souvenirs de joie aussi bien que souvenirs de drames), terminera ce que les Anciens ont commencé et poursuivi avec une ténacité admirable :

la libération de la Géorgie aimée.

JEAN MARTIN,
Directeur du « Journal de Genève »,
Président d'honneur
du Comité international pour la Géorgie.

L'INDÉPENDANCE DE LA GÉORGIE

L'effondrement de l'Empire des Tsars avait permis à la Géorgie de reconquérir son indépendance.

Elle la proclama le 26 Mai 1918.

En Février 1921, le bolchevisme la lui ravissait par la violence.

Aussi, est-ce parmi ceux qui font profession de défendre les peuples opprimés, que se trouvent les témoins les plus obstinément muets du martyre géorgien.

Depuis dix-sept ans, les Géorgiens qui n'ont pas accepté de vivre sous le joug sont en exil.

Leur vie a été douloureuse d'autant plus que le jeu cruel de la politique internationale, les a privés, les uns après les autres de la plupart de leurs amis.

Certains s'abandonnèrent mais il en est qui, contre toute espérance, ont gardé une foi invincible. Ils méritent d'être félicités.

La légende veut que ce soit sur le Caucase que Prométhée, le premier homme libre, ait été enchaîné après qu'il eut ravi le feu du ciel.

L'âme géorgienne, si stoïque dans la souffrance et l'esclavage, donne un sens à cette émouvante fable.

A l'occasion du 20me anniversaire de la proclamation de son indépendance, je salue le peuple géorgien.

Il possède sa langue, son art, ses poètes, son histoire. Il redeviendra maître de son destin.

ADRIEN MARQUET,
Député, Ancien Ministre,
Maire de Bordeaux.

SALUTO AL POPOLO GEORGIANO

Ricorrendo il ventesimo anniversario della Indipendenza della Georgia, ritengo mio dovere di Italiano e di Fascista rivolgere una parola di saluto e di augurio al cavalleresco Popolo Georgiano che, nella sua quasi ventennale lotta per la riconquista della libertà perduta, ha fatto conoscere al mondo le sue qualità nobili e guerriere.

Come Italiano, ossia come figlio di una Grande Potenza Mediterranea, io amo la Georgia e il suo Popolo, poichè entrambe queste due Unità hanno una forte affinità con la mia Patria e con la mia Famiglia Nazionale: il clima e la configurazione geografica dei nostri due Paesi sono quasi identici; i nostri due Popoli sono ricchi di un passato incancellabile di grandezza, di potenza e di forza; i caratteri delle nostre popolazioni si rassomigliano sensibilmente. Il Mare Mediterraneo e la comune Civiltà ci uniscono indissolubilmente in uno sforzo costante di progresso e di elevazione.

Come Fascista, amo il Popolo Georgiano che si è sempre battuto eroicamente contro le forze oscure che cercano di sommergere i principali valori della Civiltà umana.

Sono certo che gli sforzi del Popolo Georgiano — basati sulla giustizia e sul diritto — riusciranno a dare alla Georgia l'indipendenza sovrana, tantopiù che la rinnovata grandezza di Roma è garanzia di un nuovo avvenire per tutti i Popoli che hanno sofferto le angherie, i soprusi e le prepotenze di feroci imperialismi.

L'Impero di Roma, della nuova Roma di Mussolini, non è soltanto una Entità territoriale di prim'ordine: Esso è, sopratutto, costituito da una benefica influenza politica basata sulla giustizia internazionale che emana dal Campidoglio.

La forza ed il prestigio del nuovo Impero Romano assicurerà per riflesso a tutti i Popoli degni di questo nome, la sovranità e la indipendenza che hanno meritato con il sangue dei loro figli migliori, e con la difesa delle loro tradizioni Nazionali e della loro integrità territoriale.

Dal più profondo del cuore auguro il pieno successo al Popolo Georgiano.

Viva la Georgia Indipendente !

Viva l'Italia Fascista !

LAURO MAINARDI.

ᲝᲪᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲡᲬᲕᲠᲘᲗ

როცა საქართველომ და მისმა სამმა მეზობელ ერმა დამოუკიდებლობა გამოაცხადეს, დიდი ომი ჯერ კიდევ მძვინვარებდა და ამიტომ უაღრესად მძიმე ამოცანის წინაშე აყენებდა მათ. პირველი ცდა ოთხივე რესპუბლიკის ერთ კავკასიურ ფედერაციაში ჩამოსხმისთვის მარცხით დამთავრდა, მაშასადამე, ამოცანის სიმძიმე რევოლუციის პირველსავე ხანაში აშკარა გახდა.

ან როგორ შეიძლებოდა სხვაგვარ, როცა თვით რუსის ხალხში რევოლუცია სოციალური აღრევის სახით მოგვევლინა და მისი დამნგრევი ძალა ქვას ქვაზედ არ სტოვებდა გარშემო? საუკუნოებით დამონებულმა რუსის ხალხმა ვერ დაიჭირა ისტორიული გამოცდა, მას არ აღმოაჩნდა ეროვნული შეგნება, არც სამშობლოს სიყვარული, არც მისთვის თავდადების გრძნობა, და ეს იყო მიზეზი, რომ მას ქვეყნის გამცემნი და დამქცევნი მოაჯდენ კისერზე.

ქართველმა ერმა ალღო აუღო შექმნილ მდგომარეობას და თავისი დასკვნა გააკეთა: გამოაცხადა დამოუკიდებლობა და შეუდგა თავის სახელმწიფოს შენებას. ათასეული წლების სახელმწიფოებივი არსებობა და მისთვის განუწყვეტელი ბრძოლა, თავის თავად იგულისხმება, საკმაო უნარსა და გამოცდილებას ანიჭებდა მას ამისათვის. არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ის საამაყოფაქტი, რომ ქართველთა ყველა წრე, კლასი და წოდება სოლიდარულად გამოვიდენ ახალ ასპარეზზე, როგორც ერთი ერი, სახელმწიფო, რამაც მათ შეაძლებინა საქართველოს მთელი ტერიტორიის ერთ და განუყოფელ სამშობლოდ აღიარება და მისთვის ზრუნვა, ყველა გამთიშავ სოციალურ ძალების უკანა რიგში გადატანით.

მით უფრო ადვილი შეიქნა თავისუფალ საქართველოსთვის სწორი ხაზის აღება საგარეო პოლიტიკაში. თუ შიგნით სოციალური უთანხმოება უნდა მიყუჩებულიყო, მით უფრო სავალდებულო იყო ეს გარეთ. საქართველო, ჯერ როგორც კავკასიის ნაწილმა, შემდეგ ცალკე, არ დაერიდა უცხო სახელმწიფოებთან მოლაპარაკებას, მიუხედავად მათი რეჟიმის ამა თუ იმ გამოსახულებისა, და დიდ შედეგებსაც მიაღწია: ის იცნეს გერმანიის იმპერიამ და მისმა მოკავშირეებმა; იცნეს საბჭოებმაც, რომელთა ხელისუფლება მის სრულს ანტიპოდს წარმოადგენდა.

დიდი ომი დათავდა და დამარცხდენ სწორედ ისინი, ვისაც საქართველო შეეკრა! მდგომარეობის სიძნელე და სირთულე თავის თავად აშკარაა: გამარჯვებული სახელმწიფოები უნდობლად უყურებდენ საქართველოს, თუმცა მას დანაშაული არ მიუძღოდა მათ წინაშე, პირიქით, თვით ისინიც სხვანაირად ვერ მოიქცეოდენ მზგავს პირობებში. საქართველომ თავისი დელეგაცია გაგზავნა ვერსალის კონფერენციაზე და ეხლა სრულ სხვა სახელმწიფოებთან დაიწყო ლაპარაკი. შედეგი ვიცით: საქართველო იცნეს ამათთაც არა მარტო ფაქტიურად, როგორც მისი მეზობლები არამედ იურიდიულადაც. რით აიხსნება ეს? უეჭველია, საქართველოს მიღწევებით სახელმწიფოებრივ შემოქმედების ასპარეზზედ, აგრედვე მის შვილთა ბრძოლით ძველი რუსეთის მასტაბში, რომელიც კარგად სმენოდათ ვერსალის მეთაურთ.

ეს ცნობა, ეს ორგანიული მუშაობა ვერაგულად შეწყვიტა ფლიდმა მტერმა; საქართველო დაუბრუნა პირველყოფილ მდგომარეობას, გაცილებით უფრო გულშემზარავს. ქართველი ერი მხოლოდ სამი წელიწადი სტკბებოდა თავისუფლებით და უკვე 17 წელიწადია, რაც ის ისევ ტყვეობაშია და იბრძვის გმირულად თავის დახსნისათვის. ამავე მდგომარეობაში არიან მისი მეზობლებიც, სხვა ერებიც.

მათ განიცადეს და ეხლაც განიცდიან დასაბამიდან გაუგონარ ბოლშევიკურ მართვა-გამგეობის მთელს საშინელებას თავისი გამანადგურებელი შედეგებით. არ შევუდგებით მათ ჩამოთვლას, საკმარისია აღვნიშნოთ, რომ ახალმა მტარვალებმა ხმელეთის მეექვსედი და მასზედ მობინადრე ერნი თავის განუკითხავ საკუთრებად აქციეს, ეგრედ წოდ. ნაციონალიზაცია, ინდუსტრიალიზაცია და კოლექტივიზაცია ფარაონისებური მონობის აღდგენას წარმოადგენს, გაცილებით უარესი სახით, რომელსაც განუწყვეტლივ ეწირებიან მილიონები ადამიანთა. და ყველა ამას ბოლშევიკები «სოციალისტურ და უდემოკრატეს» წყობილებას ეძახიან!

მაგრამ ასე არ შეხედეს მას დაწინაურებულმა ქვეყნებმა, სადაც მოსკოვის აგენტები მუშაობდენ «მსოფლიო რევოლუციის» მოსახდენად. ჩვენ არ შეგვიძლია დავმალოთ, რომ რუსეთის რევოლუციამ თავიდანვე დიდი გამოხმაურება ჰპოვა ევროპაში, მუშათა კლასმა ლენინში ახალი მესსია დაინახა, ზოგან გასაბჭოებაც მოხდა, მაგრამ ჩქარა მოუღეს ბოლო და, მიუხედავად აგიტაცია-პროპაგანდის თავისუფლებისა, ვერსად მოიდგეს კომუნისტურმა პარტიებმა ისე ფეხი, რომ ეგ სახიფათო გამხდარიყო არსებული სოციალურ რეჟიმისთვის. მართა-

ლია, უკანასკნელმა ბევრ დიდსა და პატარა სახელმწიფოში ტოტალურ ხელისუფლების ფორმა მიიღო და ეს სწორედ რეაქცია იყო იმისა, რაც ხმელეთის მეექვსედში ხდებოდა.

ვერსალის ზავმა ბევრ დამონებულ ერს მისცა თავისუფლება, მაგრამ იმავე დროს დამარცხებულ სახელმწიფოებს, სამაგიეროდ, შეუქმნა აუტანელი მდგომარეობა; ამას ზედ დაერთო საყოველთაო ეკონომიური კრიზისიც. ამ დიდად რთულმა ვითარებამ ერთმანეთს დაუპირდაპირა გამარჯვებული და დამარცხებული, ნედლი მასალით მდიდარი და ღარიბი სახელმწიფოები, რასაც მათი იდეოლოგიური განცალკევება მოჰყვა ორ ბანაკად: დემოკრატიულ და დიქტატორულ. კრემლის დიქტატურამ მარდად გამოიყენა ეს განცალკევება და დემოკრატიულ ქვეყნებს მიეკედლა, სადაც ხალხოსნური ფრონტის ლოზუნგი გადისროლა. აქედან მისი ერთა ლიგაში დაშვება, თვით პაქტის აშკარა დარღვევით; აქედან მეორე ინტერნაციონალის მიერ თავგამოდებული დაცვა საბჭოთა «ერთა საპყრობილესი» გარედან თავდასხმისაგან.

დღეს უკვე არავისთვის საიდუმლო არაა, რომ ერთა ლიგა თან გადაყვა ამ და ბევრ სხვა უმზგავსო მოვლენებს; ომიც კი სწარმოებდა და სწარმოებს აფრიკაში, ევროპაში, თუ აზიაში და მას არავინ ეკითხება, ან უბრალო სარეგისტრაციო ბიუროდ იქცა იგი. მაშასადამე, ქვეყნიერება დაუბრუნდა 1914 წლის მდგომარეობას, მაშინდელ წონასწორობის და საიდუმლო დიპლომატიის მეთოდებს; შეუჩერებელი უსაზღვრო შეიარაღების ციებ-ცხელებაა ყველგან გამეფებული.

ამრიგად, ომი თუ ზავი დღეს წეს-რიგშია საერთაშორისო ფორუმში და არავინ იცის, საითკენ გადიხრება სასწორი. ლონდონისა და პარიზის სასოწარკვეთილი ცდა, გამონახონ მოდუს ვივენდი ბერლინ-რომის ღერძთან და მით უზრუნველ ჰყონ ზავი დასავლეთ ევროპაში, ჯერ კიდევ არავინ იცის, გამარჯვებით თუ მარცხით დამთავრდება; ეს ორი დაჯგუფება სწყვეტს ბოლოს და ბოლოს განათლებულ მსოფლიოს სვე-ბედს.

როგორი უნდა იყოს ასეთ საბედისწერო მომენში ჩაგრულ ერთა პოზიცია? მართებთ თუ არა მათ, ჩაერიონ «დიდების» იდეოლოგიურ ჭიდილში, მიეკედლონ ერთ ბანაკს, ბრძოლა გამოუცხადონ მეორე ბანაკს? არავითარ შემთხვევაში! რატომ? იმიტომ, რომ ჩვენი ქვეყანა, ჩაგრულ ერთა ქვეყნები მტრის მიერ არის მოკავებული, აქედან ჩვენს წინაშე სდგას არა შინაური რეჟიმის, არამედ მტრის განდევნის საკითხი. საგარეო პოლიტიკაში კი, როგორც წინედ, ჩვენი ხელმძღვანელნი ვალდებული არიან ანგარიში გაუწიონ დიდ სახელმწიფოთა არა შინაურ რეჟიმს—ეს იქნებოდა დაუშვებელი არამკითხობა—არამედ იმას, თუ როგორია მათი პოზიცია ჩვენი, საზოგადოდ ჩაგრულ ერთა მიმართ. ჩვენ ისე უნდა გაუძღვეთ ჩვენს საქმეს, რომ შესაფერ მოხდენილ მომენტში დავეყრდნოთ იმ ძალას, რომელიც მზადაა ხელი გამოგვიწვდინოს, განურჩევლად მისი შინაური რეჟიმისა, ოღონდ იმ პირობით, რომ ჩვენი ქვეყნის უზენაესობა შეუბღალავი დარჩეს.

ჩვენ ვიცით, ჩვენს მტერს, მოსკოვს, არასდროს, ამ ოცი წლის განმავლობაში, არ ჰქონებია ისეთი გართულებული მდგომარეობა შინ და გარედ, როგორიც დღესა აქვს. რეჟიმის გახრწნის პროცესი ღრმავდება და განიერდება, მისგან ამოხეთქილი დამპალი სუნი სწამლავს გარემოს, მას გაურბიან თვით ბოლშევიკები, ამიტომ ავლებს მათ მუსრს სტალინი, განმარტოებული, თვით ტეროორის ქვეშ. მეორე მხრით, საბჭოთა კავშირი «ავადმყოფ კაცად» არის აღიარებული და მის დანაწილება-დაყოფაზე ბჭობენ ერთგან ახდილად, მეორეგან საიდუმლოდ. ჩქარა უნდა დადგეს დრო, როცა მის საზღვრებში გამომწყვდეულმა ერებმა, უნდათ არ უნდათ, ხელში უნდა აიღონ ძალაუფლება და ეცადონ ერთი ბატონის მოშორებით მეორე ბატონის ლუკმა არ გახდენ.

ამისათვის საჭიროა, უწინარეს ყოვლისა, თვით ერნი შეკავშირებული იყვნენ შიგნიდან ვითა სალიკლდე. პარტიული შუღლი, იმაზე თავის მტვრევა, თუ რა რეჟიმი დაწესდება განთავისუფლებულ სამშობლოში, სრულიად მიუტევებელია, დანაშაულია. მთლიანი, გაუტეხელი ეროვნული ფრონტის მიდრეკილება უკვე იმარჯვებს ქართველთა ემიგრანტებში, თითო-ოროლას განდგომამ, საბედნიეროდ, კიდევ უფრო გააძლიერა ეს მიდრეკილება.

ასეთივე მთლიანობა და სიმტკიცე მართებთ კავკასიის სხვა ერებსაც, ქართველები, როგორც წინედ, დღესაც მაგალითი უნდა გახდენ მათთვის. კავკასიელებმა ხელი უნდა გაუწვდინონ უკრაინელებს, თურქესტანლებს და ყველამ ერთად დანარჩენ ჩაგრულ ერებს, და ეს საერთო, საერთაშორისო სოლიდარობის ლოზუნგი უნდა გადისროლონ აქედან თვით საბჭოთა კავშირში, საიდანაც, იმედი უნდა ვიქონიოთ, აღმოხეთქს ისეთი მძლავრი ამოძახილი, რომლის ხმა მისწვდება უცხოეთსაც და მისი მთავრობანი იძულებული იქნებიან, ანგარიში გაუწიონ მას.

ჩაგრულნო ერნო შეერთდით!

უკვდავი საქართველო

საქართველო მოკვდა? არა: საქართველო ცოცხალია, საქართველოს არ შეუძლია მოკვდეს.

ეს არაა ცალიერი სიტყვა, ეს სინამდვილეა, რისი ჭეშმარიტება მინდა ცხადვყო. დიდი შეცდომაა მეტად გავრცელებული ამ ქვეყნად: მსჯელობენ ამა თუ იმ ერის შესახებ მისი არსებობის გარეგანი ვითარების მიხედვით. თუ სახელმწიფო დროებით დამორჩილებულია, ჰფიქრობენ, რომ მისი შემადგენელი ერი მკვდარია. შემცდარია და მთელი ისტორია ამას გვიმტკიცებს: მხოლოდ ის ერია მკვდარი, რომლის სული მოკვდა, და ეროვნული სული კვდება ხანდახან მაშინაც, როცა ერი მოსილია სახელმწიფოებრივობის ყოველგვარი გარეგნული ნიშნებით. დიდი, ვრცელი ავსტრო-უნგრეთის იმპერია დაიმსხვრა იმიტომ, რომ არ არსებობდა ავსტრო-უნგრული სული. მას შეეძლო ბოსნია-ჰერცეგოვინის შეერთება, მაგრამ მალე ვერ შესძლო თავის თავის გადარჩენა მსოფლიო ომის განსაცდელის ჟამს.

სამაგიეროდ შეხედეთ პოლონეთს: თითქოს ერთი საუკუნის განმავლობაში უნაყოფოდ დამთავრდა ყოველი ცდა მისი დამოუკიდებლობის აღსადგენად და პესიმისტები ამბობდენ, რომ მისი საფლავი სამუდამოდ დახურული იყო. მაგრამ ის ცოცხლობდა მაინც და აღსდგა საფლავიდან, იმიტომ, რომ თავის უბედურებათა მთელ სიგრძეზე მას უნდოდა სიცოცხლე, იმიტომ, რომ არასოდეს შეწყვეტილა მისი გულის ცემა, იმიტომ, რომ მისი მწერლები, პოეტები, მუსიკოსები მთელს ქვეყანას მოაფენდნენ მისი ისტორიის სახელოვანს მოგონებებს და ამგვარად შეამზადეს როგორც შიგნით ისე გარედ დამოუკიდებლობის აღდგენა.

სხვანაირი არ იქნება საქართველოს ბედიც—ესაა ჩემი მტკიცე იმედი და ღრმა რწმენა—, იმ ერთი განსხვავებით, რომ უფრო ხანმოკლე იქნება ის განსაცდელი, რომელსაც ასე მწვავედ განიცდის დღეს. დიად ქართველ ერს აქვს ისეთი სიცხოველე, რომელსაც ვერა რა მოსპობს. ბრწყინვალეა მისი წარსული, რომელიც რუსთაველმა ასახელა. საყოველთაო აღრევის დროს მან დაამტკიცა, რომ შეუძლია, თავისუფალ წესწყობილების ქვეშ, შეეგუოს თანამედროვე ცხოვრების პირობებს. იმ საბედისწერო დღის შემდეგ, როცა საბჭოთა ურდოებმა გასთელეს ნებაყოფლობით დადებული ხელშეკრულობა და შეესიენ საქართველოს, უკანასკნელი ერთს წუთსაც არ მისცემია სასოწარკვეთილებას. მტკვრის ნაპირებზე, დარიალის ხეობაში თუ ქუთაისის ველებზე, უცხოეთის ქალაქებში, სადაც თავი შეუფარებიათ საქართველოს შვილებს და ელოდებიან განთავისუფლების საათს და მუშაობენ მის მოსაახლოვებლად—ყველგან ქართველი ქალები და კაცები, ახალგაზრდანი და მოხუცნი ერთგულები დარჩენ თავის პატრიოტულ მისწრაფების და გამსჭვალულნი არიან თავის სამშობლოს მომავლის იმედით. მათი რწმენა არაა ცრუმორწმუნოებრივი და ფატალისტური, რომელიც დაუძლურებას წარმოშობს, არამედ არის ჭეშმარიტი რწმენა, მომქმედი, ცოცხალი, გამტაცებელი, წმინდა ლამპარის ცეცხლის ამთები, რომელიც, მიუხედავად აწინდელი წყვდიადისა, მთელ მსოფლიოში გაფანტულ საქართველოს მეგობრების აღტაცებულ თვალებს წინაშე ბრწყინავს.

მალე ოცი წელიწადი შესრულდება, რაც მე შავი ზღვის ამწვანებულ ნაპირებზე, იმერეთის მოდიმარ სოფლებში, ბაკურიანის ნაძვებს შორის, დიდი კავკასიონის საძოვარ ადგილზე, დიდ ქალაქ ტფილისში დავსტკბი რამდენიმე კვირის განმავლობაში ბედნიერი ცხოვრებით, დამოუკიდებელ და თავისუფალ ქართველი ერის ლაღი ცხოვრებით. და ამის მხურვალე მოგონება დარჩება ჩემში ჩემი სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე. მაგრამ თუ თავისთავად, სრულიად ძალდაუტანებლად მე შემიყვარდა საქართველო მისი სიხარულის და წარმატების დღეებში, უფრო ღრმა სიყვარული მაქვს მისი მას შემდეგ, რაც ვნახე, თუ რა ღირსებით, სიდიადით და რწმენით იტანს ის საშინელ გაჭირვებას და უსასტიკეს დევნას. არავითარი საჩივარი, გოდება, საყვედურები: ჭეშმარიტი ქართველი არ სჩივის, არ სტირის, არც ვისმე საყვედურით მიმართავს. როცა მწუხარება მას სტანჯავს, ის უდრეკია და ითმენს. და, რადგან ითმენს და მის სულსა და გულში თანდათან გროვდება ცოცხალი ძალები, რომლებიც ელოდებიან შესაფერ დროს, რომ გარედ გამოხეთქონ,—საქართველო ცოცხლობს, საქართველო იცოცხლებს, საქართველო აღსდგება თავისუფალი და დამოუკიდებელი კავკასიონის მშვენიერი მზის სხივებში.

ძნელია ლოდინი, კვლავ ლოდინი. ხოლო ეს საჭიროა. და თუ ძველმა თაობამ ვერ შესძლო თავის საქმის დამთავრება, ეროვნულ მოგონებათა (როგორც ლენინის ისე ჭირის მოგონებათა) კულტით აღზრდილი ახალი თაობა დაამთავრებს, რაც დაიწყეს ძველებმა და საქებარი სიმტკიცით აწარმოებდნენ:

საყვარელი საქართველოს განთავისუფლებას.

ჟან მარტენ, «ჟურნალ დე ჟენევ»-ის დირექტორი, საქართველოს დამხმარე საერთაშორისო კომიტეტის საპატიო თავმჯდომარე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს დამოუკიდებლობის 20 წ. თავზე

ცარების იმპერიის დამხობამ საქართველოს საშუალება მისცა, ხელახლა აღედგინა თავისი დამოუკიდებლობა.

ეს გამოაცხადა 1918 წ. 26 მაისს.

1921 წ. თებერვალში ბოლშევიკებმა ძალით მოსტაცეს მას თავისუფლება.

და სწორედ ისინი, რომელთაც თავის რწმენის საქმედ მიაჩნიათ დაჩაგრულ ერების დაცვა, ყველაზე უფრო დაჟინებული მდუმარებით შესცქერიან საქართველოს წამებას.

ჩვიდმეტ წელიწადზე მეტია, რაც გამოძევებულნი არიან ის ქართველები, რომელთაც არ მოისურვეს უღელს ქვეშ ყოფნა.

მათი ბედი მით უფრო სამწუხაროა, რომ საერთაშორისო პოლიტიკის ულმობელმა თამაშმა მათ ჩამოაშორა ერთი მეორის შემდეგ მეგობართა მეტი ნაწილი.

ზოგი დაეცა, მაგრამ არიან, რომელთაც წინაამდეგ ყოველი მოლოდინისა, შეინარჩუნეს ურყევი რწმენა. ღირსნი არიან მილოცვის.

ლეგენდა ამბობს, რომ კავკასიონის ქედზე მიჯაჭვული იყო პრომეთე, პირველი თავისუფალი ადამიანი, რომელმაც ციდან ცეცხლი მოიტაცა.

ქართველის სული, ასე უდრეკი გაჭირვებასა და ტყვეობაში, ახსნას აძლევს ამ მომხიბლავ გადმოცემას.

დამოუკიდებლობის გამოცხადების ოცი წლის თავზე სალამს ვუძღვნი ქართველ ერს.

მას აქვს თავისი ენა, თავისი ხელოვნება, თავისი მწერლობა, თავისი ისტორია. იგი კვლავ გახდება თავის თავის პატრონი.

ადრიან მარკე, ყ. მინისტრი,
დეპუტატი, ქ. ბორდოს მერი.

სალამი ქართველ ხალხს

საქართველოს დამოუკიდებლობის ოცი წლის თავის აღსრულება ვალადა მხდის მე, იტალიელსა და ფაშისტს, მივუძღვნა ქართველ რაინდულ ერს ჩემი მოკლედ თქმული სალამი და სურვილები. დაკარგულ თავისუფლების ხელახალ მოსაპოებელ თითქმის ოცი წლის ბრძოლით ამ ერმა ამცნო მსოფლიოს თავისი კეთილშობილური და სამხედრო თვისებანი.

ვითარცა იტალიელს, ანუ ხმელთა შუა დიდ სამფლობელოს შვილს, მე მიყვარს საქართველო და მისი ხალხი! მიყვარს იმიტომ, რომ ამ ორივ ერთეულთ აქვთ ეგზომ დიდი მსგავსება ჩემს სამშობლოსთანა და ჩემი ერის ოჯახთან: ჰავითა და გეოგრაფიული კონფიგურაციით ეს ჩვენი ორი ქვეყანა თითქმის იდენტიურია; ჩვენი ორი ერი მდიდარია აღუხოცელ წარსულის სიდიადითა, მპყრობელი ძალითა და სიმძლავრით; ამ ორ ქვეყანათა მოსახლეობა ხასიათითაც კი საგრძნობლად თანაგვარია: ხმელთა შუა ზღვა და საერთო ცივილიზაცია მათ განუყრელად აერთებს მათსავე ცდაში პროგრესისა და განვითარებისათვის.

როგორც ფაშისტს, მიყვარს მე ქართველი ხალხი, რომელიც დღემუდამ ვაჟკაცურად ეკვეთება ბნელ ძალებს, საკაცობრიო ცივილიზაციის მთავარ ღირებულებებს წალეკით რომ ემუქრებიან.

დარწმუნებული ვარ, რომ ქართველი ხალხის ცდანი—სამართალსა და უფლებაზე დამყარებულ ნი—დაბოლოს თავისას გაიტანენ და საქართველოს მიანიჭებენ სუვერენულ დამოუკიდებლობას! ამაში დარწმუნებული ვარ მით უმეტეს, რომ რომის განახლებული სიდიადე ისახება გარანტიად ყველა იმ ხალხთა ახალი მომავლისა, რომელთაც განიცადეს მრისხანე იმპერიალიზმის შევიწროებანი, ბოროტმოქმედებანი და თვითნებობანი.

რომის იმპერია—მუსოლინის ახალი რომისა—არ არის მხოლოდ ტერიტორიულ გაფართოების არსისა! ის უწინარეს ყოვლისა დაფუძნებული არის იმ კეთილისმქველ პოლიტიკის გავლენაზე, რაიცა ემყარება კამპიდოლიიდან გამომდინარე საერთაშორისო სამართალზე.

ძალა და პრესტიჟი, რომლითაც შემოსილი არის რომის ახალი იმპერია, თავდები იქნება სუვერენობისა და დამოუკიდებლობისათვის ყოველი ისეთი ერისა, რომელიც ღირსია ამ სახელწოდებისა, რომელსაც ეს დამსახურებული აქვს თავის საუკეთესო შვილთა სისხლით და რომელიც ჰდარაჯობს თავის ნაციონალ ტრადიციებსა და თავის ტერიტორიის მთლიანობას.

გულის სიღრმიდან ვუსურვებ ქართველ ხალხს სრულს წარმატებას!

გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!

გაუმარჯოს ფაშისტურ იტალიას!

ლიუსრო მაინარდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

26 მაისი და კავკასია

20 წელია, რაც რევოლუციის და სამოქალაქო ომის ცეცხლში იშვა კავკასიის ერების თავისუფლება. კარზედ მომდგარი ოსმალეთის ჯარები და რუსეთის ანარქიის მძვინვარე ტალღები კავკასიის ხალხებისაგან მჭიდრო კავშირს და ძალთა ერთობას მოითხოვდა. ამ საბედისწერო მომენტში ხელმძღვანელი როლის თამაში წილად საქართველოს ხვდა. და აი, კავკასიის გადარჩენის ლოზუნგად საქართველოს ხელმძღვანელობამ ამიერ-კავკასიის ფედერაცია წამოაყენა. მას სამი რესპუბლიკის ძალთა გაერთიანება საფუძვლად დაუდო და, ამრიგად, გარეშე ძალთაგან თავდაცვის საქმის მოწყობას შეუდგა. 1918 წ. 10 თებერვალს სეიმი შეიკრიბა და 9 აპრილს ოფიციალურად ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობა გამოცხადდა და დამყარდა ფედერაციული რესპუბლიკა აკ. ჩხენკელის მეთაურობით.

თითქოს კავკასიის ერებმა საერთო ენა გამონახეს, საერთო ულელში შეებენ და დამოუკიდებელ სახელმწიფოს შენებას შეუდგენ. თითქოს განხორციელდა სანუკვარი იდეა—კავკასიის სახელმწიფო ფაქტად იქცა.

მაგრამ, სამწუხაროდ, საგარეო ვითარება კავკასიის წინააღმდეგ აეწყო და მოიმართა. მაღე თავი იჩინა ერთა შორის უთანხმოებამ ორიენტაციის საკითხში. აზერბაიჯანის ხალხის უმრავლესობამ მოძმე თურქთა შემოსვლა კავკასიაში თავის განთავისუფლების საუკეთესო გარანტიად მიიჩნია... ოსმალეთის ჯარებმა აიღეს ბათუმი და ყარსი და მით კავკასიის მთლიანობის აფეთქება და დაშლა ფაქტად იქცა. ამიერ-კავკასია სამად გაიპო და თითოეული ნაწილი თავისი საკუთარი კერის მოწყობას შეუდგა. 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდა, ხოლო 27 და 28-ს აზერბაიჯანის და სომხეთის რესპუბლიკები დაარსდენ. ამრიგად საქართველოს ხელმძღვანელობის მთავარი ხაზი—კავკასიის მთლიანობა, მისი ფედერაციულ ნიადაგზე აგება—გარეშე ძალების ჩამორევით გადაიჭრა და მოიშალა.

მართალია, მოვლენები და ფაქტები ჰქრებიან და ისპობიან, მაგრამ იდეა მაინც უკვდავი და წარუშლელი რჩება. ყარსში და ბათუმში დაჭრილმა კავკასიის ფედერაციის იდეამ თავისი გამოძახილი ისევ 26 მაისის აქტში ჰპოვა. 1918 წ. 26 მაისს, საქართველოს ეროვნულ საბჭოს სხდომაზე ქართველმა ერმა ნ. ჟორდანიას პირით კვლავ წამოაყენა კავკასიის მთლიანობის ურყევი ლოზუნგი. მან სთქვა: «დღეს თქვენ აქ მოწამენი იყავით იშვიათი ისტორიული და ამავე დროს ტრაღიკული აქტის. ამ დარბაზში დღეს მოკვდა ერთი სახელმწიფო და აი, დღესვე ამავე დარბაზში ეყრება საძირკველი მეორე სახელმწიფოს. ამ ორ სახელმწიფოთა შორის, რომელთაგან ერთი მოკვდა, მეორე კი იბადება, არ არის ინტერესთა წინააამდეგობა... მეგობრული ურთიერთობა ჩვეს მესაზღვრე ხალხებთან შექმნის მკვიდრ საფუძველს, რომელზედაც განმტკიცდება ჩვენი ნორჩი სახელმწიფო და აგრეთვე მეზობელი სახელმწიფოები და ჩვენი საერთო მოწინააამდეგენი მოკლებული იქნებიან შეძლებას, გვძლიონ ჩვენ და დაანგრიონ ჩვენი ქვეყანა. ჩვენს სახელმწიფოს საზღვრებში ბინადრობენ ეროვნული უმცირესობანი... ეს ხალხები გაერთიანებულნი საერთო დროშის ქვეშ, დაამყარებენ კავშირს ჩვენი სახელმწიფოს საზღვრების გარეშე მცხოვრებ ხალხებთან და ამ გზით აღორძინდება სახელმწიფოებრივი კავშირი, რომელიც აღადგენს აქ ჩვენს წინაშე დაშლილ სახელმწიფოს. ეს სახელმწიფო იქნება—კავკასიის კონფედერაციული კავშირი. ჩვენი გზა, ჩვენი იდეალი მიმართულია ასეთ კავშირის შედგენისაკენ»...

ამრიგად 26 მაისი თავის წიაღში ატარებს კავკასიის კონფედერაციულ ნიადაგზე მოწყობის მთავარ აზრებს. ამ დღეს ქართველმა ერმა თავის დამოუკიდებლობას დაანათლა ბრძოლა დაშლილ ერთობის აღსადგენად. ამით კავკასიის ერებს ახალი სამოქმედო გზა უჩვენა; ხელში ახალი დროშა მისცა.

და, მართლაც, მთელი სამი წლის მანძილზე, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ამ ერთობის გასანაღდებლად არავითარ მსხვერპლს არ ერიდება. 1918 წ. 27 ოქტომბერს მან წინადადებით მიმართა აზერბაიჯანის, მთის და სომხეთის მთავრობებს კავკასიის კონფერენციის მოწვევის შესახებ, სადაც უნდა მომხდარიყო როგორც ურთ-ერთის ცნობა, ისე გარეშე ძალთაგან საერთო თავდაცვის საქმის მოწყობა. სამწუხაროდ, სომხეთის რესპუბლიკამ ამაზედ უარი განაცხადა და მით კავკასიის ყველა ერთა მორიგების საქმე დროებით შეფერხდა. 1919 წ. დასაწყისში მთიელთა რესპუბლიკა საბჭოთა რუსეთმა დაიპყრო. ამის გამო საქართველო იძულებული იყო მხოლოდ აზერბაიჯანთან კავშირის განმტკიცებას შესდგომოდა. ამ მიზნით ამ ორ რესპუბლიკათა შორის თავდაცვითი კავშირი დაიდო თითქოს შეიქმნა იმედი ამიერ-კავკასიის კვლავ აღდგენის, მისი რესპუბლიკების კონფედერაციულ ნიადაგზე აწყობის. მაგრამ ჩრდილოეთ-სამხრეთის შეთანხმებამ ეს შესაძლებლობა ძირშივე მოსპო. ამის შედეგად კავკასიის რესპუბლიკები საბჭოთა რუსეთის მსხვერპლი გახდენ. კავკასიას კვლავ უცხო ძალები დაეპატრონენ.

გამოიცვალა მდგომარეობა, ხოლო უცვლელი დარჩა საქართველოს მიზნები. ის მან გადმოიტანა უცხოეთშიაც, სადაც კონფედერაციის იდეას ორგანიზაციული გამოხატულება მისცა. საქ-ს მეთაურობის ღვაწლია, რომ თვით უკიდურესი შოვინისტებიც კი იძულებული ხდებიან კავკასიის ერთა მორიგების მომხრედ გამოვიდენ და კავკ. კონფ. იდეას მიეკედლონ.

ამრიგად, კავკ. ერების ბრძოლა თავისუფლებისათვის კონფედერაციის დროშის ქვეშ სწარმოებს; ის ქმნის და აშუქებს ახალ იმედებს და პერსპექტივებს. ეს დროშა გადამბულია კავკასიის რესპუბლიკების ცალკე დროშებთან; ისინი ერთად მიდიან და ერთ მიზანს ემსახურებიან. ერთის აღდგომა ნიშნავს მეორეს გამარჯვებას, მათ შორის სრული ჰარმონიაა.

ფედერაცია დამარცხდა—გაუმარჯოს კონფედერაციას! აი, რა იყო ის ლოზუნგი, რომელიც კავკასიაში პირველად 26 მაისს გაისმა.

ს. მენ-ი.

ქართველი დედა

(26 მაისის გამო)

დღეს 26 მაისია. მრავალ ფიქრთა და გრძნობათა აღმძვრელია ეს დღე.

26 მაისს აღსდგა ერი, მოიპოვა თავისუფლება და შეუდგა საკუთარი კერის მოწყობას. 26 მაისი მრავალ თაობის მუშაობის და შემოქმედების ნაყოფია. წარსულმა მოგვცა 26 მაისი. 26 მაისი გამოსჭედს მომავალს. თვალწინ იშლება ცოცხალი სურათი მამაპაპათა თავგადასავლისა, საქართველოს ძლიერების და დიდების, დაუძლურების და ტანჯვის. გხიბლავს სამშობლოსათვის თავდადებულთა გმირობა, რაინდობა, უმწიკვლობა, გრძნობათა სიუხვე, სიფაქიზე, რწმენის სიღრმე, სიძლიერე. ამ გმირთა შორის, უეჭველად, საპატიო ადგილი უკავია ქართველ დედას. იგი ერთი აქტიური შემომქმედთაგანია ჩვენი კულტურული დოვლათის, ეროვნული წარმატება-აღორძინების. კერას ბურჯი, ეროვნული ტრადიციების შემნახველი, ქართველი დედა მუდამ პირველ რიგში იდგა მამაკაცებთან ერთად ქვეყნის დაცვის საქმეში, გარეშე მტერთან ბრძოლაში. ჟამთა ვითარებას არ შეულახავს ქართველი დედის ბუნება. დღეს ისე, როგორც წარსულში, იგი ღირსეულად დგას თავის დანიშნულების სიმაღლეზე. თავდადებული თვისი ოჯახისათვის, თავდადებულია იგი აგრედვე საერთოდ სამშობლოსათვის. ჭკვიანი, მოხერხებული, უშიშარი, სამშობლოსათვის. ჭკვიანი, მოხერხებული, უშიშარი,—ქართველი დედა საბედისწერო მომენტებში გმირად იქცევა და სასწაულს ჰქმნის; შეუდარებელი, წარმტაცი და მომხიბლავია ის ამ შემთხვევებში.

ხშირად გვსმენია, როგორც შინაურებისგან, ისე გარეშეებისგანაც,—ქართველი ერი კეთილშობილია. ქართველთა კეთილშობილობა უდავო ფაქტია. და ეს ფაქტი უფრო თვალსაჩინო ხდება, როდესაც ვადარებთ ჩვენი ქვეყნის შვილთ სხვა მოწინავე ქვეყნებისას.

ეს ეროვნული კეთილშობილება უმთავრესად ქართველი დედის შემოქმედებაა. თვით ნაზს, სათუთს, კეთილშობილს—მემკვიდრეობით გადააქვს მას შვილზე საკუთარი თვისებანი. შემდეგ მისი ბეჯითი, დაუღალავი შრომით შვილში ეს მოცემული თვისებანი ვითარდებიან. მოზარდ თაობათა მორალური გაწრთვნა აკვნიდან იწყება, არტახებში ჩაკრულ პატარას დედა მოქალაქის და მამულიშვილის უფლება-მოვალეობას ასწავლის. კარგი დედ-მამა კარგი ოჯახია. კარგი ოჯახები კარგი ერია. დედა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გამონახე, ტყუილად კი არ ამბობს ხალხური სიბრძნე.

26 მაისია, ყველას ტუჩზე ღიმი უზის; ყველა ხარობს, მხიარულობს—ვაჟი, ქალი, ახალგაზდა და მოხუცი.

აღსდგა ერი!

— ჭეშმარიტად, ისმის ყველგან. ოჯახი, ქუჩა, საჯარო შეკრებულებანი,—ყველგან ზეიმის სურათია, ყველგან ბედნიერების ნაკადი ჩქეფს და ყველა ამ შემთხვევებში ქართველ დედას საპატიო ადგილი უკავია. ბედნიერება მას არ ათრობს, გონებას არ უკარგავს, ის ფხიზლად მიდის ცხოვრების გზაზე. ცხოვრების გზა ია ვარდით არაა მოფენილი, ვარდი უეჭლოდ არავის მოუკრეფია. დიდი საქმე დიდ მსხვერპლს, დიდ ბრძოლებს ითხოვს. ეს სინამდვილე კარგად აქვს ქართველ დედას შეცნობილი. მან იცის,—ჭირსა შინა გამაგრება ისე უნდა ვით ქვიტკირსა.

მაისი თებერვალმა შესცვალა (1921 წ.), თებერვალს აგვისტო მოყვა (1924 წ.). სამი თარიღი უმნიშვნელოვანესია ქართველი ერის ცხოვრებაში.

ამბავი მოდის: ქმარი, ორი ვაჟი ბრძოლაში დაეცენ. ოჯახი დაინგრა, კერა გაცივდა.. მწარე ფიქრებმა დასერეს გული. დედა სიმხნევეს არ ჰკარგავს. ჩემი ოჯახი დაიქცა, სხვათა ოჯახები დარჩებიან, საერთო ოჯახი—ქართველი ერი იარსებებს; ის უკვდავია, უძლეველია. ერთი პატარა ვაჟი კიდევ მყავს, გაიზრდება, მკლავი გაუმაგრდება, ოჯახს აღადგენს, მტერს მტრობას გაუწევს, უსამართლობას დათრგუნავს.

კარი შეამტვრიეს. რუსი ჩეკისტები ოთახში შეცვინდნენ. აკვანში არტახებში ჩაკრული ბავშვი ხიშტებზე ააგეს. დედა ჯალათებს ვეფხვივით ეკვეთა. ერთი, ორი, სამი... ხმლით აკეპა მან და თვითონ ტყვიით განგმირული დაეცა, მსხვერპლად შეეწირა სამშობლოს. ამ გმირ დედათა რიცხვი უთვალავია. ეს ფაქტიური სინამდვილე გვიკარნახებს,—ქართველი დედის როლი ერის წარმატება-აღორძინების საქმეში სათანადოთ დაფასებული იქნეს.

ერის სნძირკველი ოჯახია. ინგრევა ოჯახი, ერს ძირი ეთხრება. ოჯახის ბურჯი, მისი ტრადიციების მატარებელი დედაა. შვილს დედა ზრდის, დედა-ენას დედა ასწავლის. შემთხვევითი მოვლენა როდია, რომ ქართულ ენას «დედა-ენა» ეწოდება და არა «მამა-ენა».

ოსმალეთში და სპარსეთში ძველად გადასახლებული ქართველობა ქართულს არ ივიწყებს და ეს ქართველი დედის მეოხებით.

ქართველმა ერმა საშინელ პირობებში დღემდე შეინახა თავისებური ფიზიკური სილამაზე და სულიერი სიმდიდრე იმავე ქართველი დედის უნარით. ქართველი დედის ღვაწლი ქართველი ერის წარმატება-აღორძინების საქმეში უსაზღვროა. 26 მაისი ნაყოფია მისი დაუღალავი მუშაობის. ამიტომ ბუნებრივია, რომ დღეს ჩვენ ქართველ დედაზე ვფიქრობთ.

ილია ნუცუბიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კამათი საქართველოზე*)

დამოუკიდებლობის დაკარგვის დღიდან (20 III 1921) ქართველი ხალხი განაგრძობს შეუჩერებელსა და შეუნელებელ ბრძოლას მოსკოველ წითელ მპყრობელთა წინააღმდეგ.

მთელი ეს ჩვიდმეტი წელიწადი უწყალობელად იღვრება მსოფლიოს ერთ უძველეს ცივილიზატორულ ხალხთაგანის საუკეთესო შვილთა სისხლი!

სამშობლოს განთავისუფლების ამ სამსხვერპლო ბრძოლაში ქართველთა ერთობა ურყევია: ნაციონალისტი და სოციალდემოკრატი, მონარქისტი და რესპუბლიკანელი, თავადი და გლეხი, მღვდელი და მუშა,—ერთი სიტყვით, მთელი ერი თანაბარ ენტუზიაზმითა და სიმძაფრით ამხედრებული არის საერთო მტრის წინააღმდეგ.

წითელი ჯარების შემოსევის პირველსავე დღეებში საქართველოში დაწესდა «ეროვნული ცენტრი». მას ჰქონდა სრული კონტაქტი ეროვნულ მთავრობასთან, რომელიც საქართველოს დაპყრობის შემდგომ იძულებული შეიქმნა თავის პრეზიდენტ ჟორდანიათურთ საზღვარ გარედ გახიზნულიყო; ამავე ცენტრის მეოხებით მოხდა ხალხის ცხოველი და აქტიური ძალების კოორდინაცია; მისივე პირდაპირი დირექტივების მიხედვით მტრის შემოჭრის უმალვე მთელს საქართველოში მოეწყო პარტიზანული რაზმები, გამოცდილ მხნე ოფიცრების ზედამხედველობით; ესევე ცენტრი (დამ. კომიტეტი) იყო, რომ განაგებდა და ხელმძღვანელობდა 1924 წლის ცნობილ აჯანყებას, 10.000 მებრძოლი რომ მიისაფლავა.. ბოლშევიკების სისხლიან გუბეებმა და სხვა ამგვარ საშინელებებმა მაინც ვერ გასტეხეს ქართველები: ბრძოლა გრძელდება, ის არც შესწყდება, ვიდრე საქართველო არ დაიბრუნებს თავის სუვერენიტეტს.

აქ—საზღვარ გარედ—მებრძოლი საქართველო წარმოდგენილი არის, როგორც ეს საყოველთაოდ ცნობილია, მის კანონიერ მთავრობის მიერ, რომლის ირგვლივ—განმათავისუფლებელ ბრძოლის წარმატებით წარზიდვის მიზნით—თავს იყრიან ყველა ქართული პოლიტიკური მიმდინარეობანი, უკიდურეს მონარქისტებით დაწყებული და გათავებული სოციალდემოკრატებით. ანტიკომუნისტური მომქმედი ბრძოლა მთელ ამ გრძელ პერიოდის გასწვრივ, საქართველო, ბოლშევიკურ რუსეთის ოკუპაციის ქვეშ რომ გმინავს,—ასულდგმულებული არის სწორედ ამ მთავრობის მიერ; გვერდში მას უდგანან ყველა მნიშვნელოვანი პოლიტიკური პარტიები, მწყობრად ამუშავებულნი პატრიოტულ მისიის შესასრულებლად.

გადმოხვეწილი მთავრობა ერმა ნდობით აღჭურვა, რათა ის განათლებულ კაცობრიობის წინაშე მთხრობელად ყოფილიყო ტყვედ ქმნილ ქვეყანისა.

მსასოებელნი ყოვლად შემძლე შემომქმედის შეწევნისა, ტანჯული ხალხი შეფიცული არის, რომ მართალ საქმეს საბოლოო გამარჯვებამდის მიიყვანს: უცხოთა უღვთო ბარბაროსული უღელი უნდა აყრილ იქმნეს! გაერთიანებული გამოზომილი მუშაობა საჭირო არის უმეტესად ეხლა, როცა საერთაშორისო სიტუაცია და საბჭოთა კავშირის შინავითარებანიც ნებას იძლევიან ვიმედოვნოთ, რომ ასახედ მომავალში ამა თუ იმ გზით ბოლო მოეღება მანიაკების ტირანულ მფლობელობას...

მაგრამ აი გამოინახნენ ელემენტები (მადლობა ღმერთს, სასაცილოდ მცირე რიცხვოვანნი) როგორც ქართველებში, აგრეთვე კავკასიის ზოგიერთ სხვა ეროვნებებშიაც, რომელთაც მოესურვათ კომუნისტურ სადისტების ბრჭყალებისაგან კავკასიის გასანთავისუფლებელ აწყობილ მუშაობაში—დაბრკოლების შეტანა. ამ ელემენტების საქმიანობა იქითკენ იხრება, რომ ჯერ ერთი შფოთი შეიტანონ თვით კავკასიელთა შორის: ქართველებში, აზერბაიჯანელებში, სომხებში და მთიელებში (რაკი სიტყვამ მოიტანა, აღვნიშნავ, რომ ეს უკანასკნელნი განიყოფებიან მრავალ ტომებად, როგორც მაგალითად: ლეკები, ავარები, ქისტები, ინგუშები, ჩეჩნები, ოსები, ყაბარდოელები, ჩერქეზები და სხვ.) და გარდა ამისა—შეჰქმნან მტრული განწყობილება კავკასიასა და მის მომიჯნო სახელმწიფოთა შორის და ყოვლის უწინარეს—წაახდინონ მიმართებანი თურქეთთან.

აი ამ, სწორედ თითებზე ჩამოსათვლელ, ხალხს, ვინ უწყის საიდან, უცებ გაუჩნდათ სახსარი, რაიცა მათ საშუალებას აძლევს ჰბეჭდონ (პარიზში) სხვადასხვა ენაზე პერიოდული გამოცემები (ფრანგულად, გერმანულად, ინგლისურად, ქართულად, რუსულად, თურქულად). ამ ჟურნალებში აღძრულ კითხვებს ძალიან ხშირად პროვოკაციის სუნი უდის. ეს ხალხი რატომღაც ხალისით ეტანება მაგალითად იმის გამოანგარიშებას, თუ როგორ ამოიხაზებიან კავკასიისა და კერძოდ საქართველოს საზღვრები სამხრეთის მიმართულებით, მასთანავე უნდა შეინიშნოს, რომ სხვათა სამკვიდრებელის არამკითხე გამწესებლებს იდეალად დაუსახავთ თურქეთ-კავკასიის სანაპიროები, რომლებიც ამ ჟამად არსებობენ და გათვალისწინებულნი არიან საბჭოთა ხელისუფლებისა და თურქეთის შორის მიღებულ ხელშეკრულებებით (ხოლო როგორ იკვრიდნენ ეს ხელშეკრულებები, ამასა ჰმოწმობს თუნდაც ასეთი ეპიზოდი: ამას წინად დახვრეტილმა წარჩინებულ ქართველ ბოლშევიკმა, ერთ მოლაპარაკებიდან დაბრუნებისას, რომლითაც დაწესებულ იქმნენ თურქეთის საზღვრები კავკასიასთან, თავხედურად განანაცხადა, რომ მან ტრაქტატს ხელი მოაწერა ისე, რომ არც კი გადაუხედია მისი ტექსტი, რადგანაც ამ რეგვენის სიტყვით მსოფლიო პროლეტარული რევოლუცია სულ ერთია გააუქმებს ყოველნაირ საზღვრებს!..)

ამგვარ საკითხების ეხლა აღძვრა და განხილვა

---

*) ბ. რ. ინგილოს ეს წერილი დაბეჭდილი იყო რომის გაზეთ «Fronte Unico» ში ამ სათაურით: «Discussione sulla Georgia» და გამოწვეულ იქნა ჰაიდარ ბამატის ჯგუფის ქართულ ეროვნულ ცენტრზე—ეხლა უკვე იტალიურ პრესაში გადატანილ—თავდასხმით. წერილს დართული აქვს ბ. ნ. ჟორდანიას სურათი. რედაქცია.

ჭკუაში მოუვათ მხოლოდ საქართველოს მტრებს: თვით ეს ქვეყანა კი თავის დროზე, საფიქრებელია, თვითონ—მოხალისე თუ მოსყიდულ ადვოკატების დაუხმარებლად—გამოჰნახავს საშუალებას მეზობელ სახელმწიფოებთან შესათანხმებლად. აწი კი, როცა საქართველოში ჰეკატომბები იმართება, ის თავის თავს ნებას ვერ მისცემს გულისყური საპერსპექტივო პრობლემებისაკენ გადიტანოს.

არის კიდევ ერთი კითხვა, რომელსაც ზემოხსენებული ჯგუფი დიდ ყურადღებას ათხოვებს,—ეს არის ქართულ ანტიბოლშევიკურ ცენტრის შედგენილობა: მას მეტისმეტად ეხამუშება ამ ცენტრში სოციალდემოკრატების მონაწილეობა! ჩვენ არა გვსურს ამ დელიკატურ თემაში ჩავახედოთ უცხოელი მკითხველი, კმასაყოფელად მიგვაჩნია განვაცხადოთ, რომ საქართველოს განთავისუფლებისათვის მებრძოლი ანტიბოლშევიკური ცენტრი შემდგარი არის თვით ქართველი ხალხის სურვილისამებრ!

ამ თემას მე იტალიურ პრესაში სულაც არ შევეხებოდი, რომ «კავკასიის» მყვირალა ჯგუფს თავად არ გადაეტანა კითხვა უცხოეთის გაზეთებში. ამ ხალხს გულუბრყვილოდ მიენდო ქართველების მიერ პატივით შემოსილი დოქტორი ენრიკო ინსაბატო, რომელმაც ყურნალ «Corriere diplomatico e consolare»-ში მოათავსა ჩემის შეხედულებით მეტად სახიფათო წერილები ამ სათაურით: «Il risveglio turco-tartaro» (თურქ-თათართა გამოღვიძება). მე აქ არ მინდა შევეხო ავტორის მრავალ შემცდარ პოსტულ-ატებს, შევჩერდები მხოლოდ სტატიის იმ ნაწილზე, რომელიც ეხება ნოე ყორდანიის—ბოლშევიკებთან ბრძოლაში დაცემულ საქართველოს პრეზიდენტის პიროვნებას. დ-რი ინსაბატო სწერს, რომ ყორდანია არის სოციალისტი და მას, ვითარცა ასეთს, ფაშისტური ქვეყნები არ უნდა ენდონ! მაგრამ უხეირო ინფორმაციის მქონე პატივცემულ მა დოქტორმა, დავიჯერო არ იცის, რომ ესევე ყორდანია, თავის სოციალ შეხედულებათა მიუხედავად, დიდი ქართველი პატრიოტია და რომ ის 70-ან ჰასაკს გადაცილებული ეხლაც ახალგაზდული გატაცებით იბრძვის საქართველოს განთავისუფლებისათვის პატივსა და თავაზს, რომლითაც აღჭურვილი არის პრეზიდენტ ყორდანიას პიროვნება ქართველ მასებში, უნდა შთაეგონებინათ უცხო პუბლიცისტისათვის, უფრო აზიზად მოჰპყრობოდა მის სახელს.

დ-რი ინსაბატო გადაკვრით იხსენიებს იმ სიტყვას, რომელიც ყორდანიამ წარმოსთქვა ეროვნულ საბჭოს ისტორიულ სხდომაზე ტფილისში, სწორედ იმ სხდომაზე, რომლითაც დაკანონდა საქართველოს დამოუკიდებლობა. ინსაბატოს რწმუნებით (შენიშვნა ქართულ ტექსტს: ეს პირველი შემთხვევა არ არის, რომ ქართული ენის უცოდინარი ინსაბატო ერთვინმე პროვოკატორსა და მატყუარა თარჯიმანს შეცდომაში შეჰყავს... რ. ი.) ყორდანიას თურმე რაღაც რეზერვი დაუტოვებია ამ მოვლენისა გამო, მაგრამ ურცხვ ინფორმატორს მისთვის აშკარა ჭორი უამბნია: ყორდანიას ეს სიტყვა არამც თუ არ ეწინააღმდეგებოდა საბჭოს დადგენილებას, პირიქით ის ნამდვილ პატრიოტულ აღგზნებითაც იქმნა წარმოთქმული, ამიტომაც გამოიწვია საბჭოს ერთსულოვანი აღტაცება. ტაშისმკვრელთა შორის ერია ამ სტრიქონების დამწერიც, თუმცა ჩემი სავარძელი იდგა დარბაზის უკიდურეს მემარჯვენე სექტორში..

ის ერთი მუჭა ხალხი, რომელიც არავითარ სახსარს არ ერიდება, ოღონდ ქართული ანტიკომუნისტური ცენტრის დისკრედიტიზაცია მოახდინოს,—ისევე უსახელოდ წაითვლის თავის არსებობის დღეებს, როგორც დაიწყო იგი: ეპიტაფიად მას დაეწერება მხოლოდ ის, რომ ეს ხალხი ბოლშევიკების დამხმარედ გამოდიოდა უაღრესად მძიმე დროს, როცა საქართველო ამ ბოლშევიკებთან ბრძოლაში სისხლით იცლებოდა!..

დ რ ინსაბატოს არ ემეტება ყორდანიასთვის (sic!) ფაშისტური სახელმწიფოების წყალობა და შეწევნა! ტყუილუბრალოდ: ინსაბატოსათვის არა ერთხელ განმიმარტავს პირადად, რომ საქართველოს განმათავისუფლებელ ბრძოლას კომუნისტურ სატრაპიის წინაამდეგ მარტო ყორდანია და სოციალისტები კი არ ეწევიან: ამ ბრძოლაში ჩაბმული არის მთელი ქართველობა უკლებლივ,—ეს არის შემოკრებილობითი ეროვნული, ინტეგრალური ბრძოლა, ერთის მიზნითა და დანიშნულებით! ეს არის ბრძოლა სიმართლისათვის, კულტურისათვის, ცივილიზაციისათვის! ეს არის ბრძოლა უსამართლობის წინაამდეგ, კომუნისტურ რღვევისა და დაფუშვის წინაამდეგ, საბჭოთა ჯოჯოხეთურ მწყვდიადის წინაამდეგ!.. პირიქით, მე ვფიქრობ, რომ ფაშისტურ ქვეყნების თანაგრძნობა უნდა იხრებოდეს ჩემი სამშობლოს თავისუფლებისათვის მებრძოლთა მხარეზე...

დ-რი ინსაბატო ერევა ქართულ შინაგან საქმეებში, ამასთანავე სარგებლობს ცალმხრივ და ყალბს ინფორმაციას. უცხოელმა თავისთავს ნება არ უნდა მისცეს, ხელები აფათურეს ისტორიაში ტრაღიკულად გადასულ დღეებში, რომლებთანაც ჩვენ—ყველა ცოცხალი ქართველები—გადაბმულნი ვართ მწუხარებისა და ტანჯვის ინტიმური ძაფებით. ეს განცდის დღენი ელიან პირუთვნელ ისტორიკოსსა და შესმენილ კრიტიკოსს. ჩვენ ისედაც საკმაოდ გულშემოყრილნი ვართ, რომ კიდევ ვისმინოთ ამფოთებული პოლემიკა!

«Corriere diplomatico e Consolare»-ში მოთავსებულ ინსაბატოს წერილებში რაღაც უცნაურად გამოსჭვივის თურქოფილური კილო, ხოლო ამავგვარადვე საქართველოფობური: ინსაბატოს შეუძლიან ეპრიანებოდეს ყველა, ვინც მასა ჰნებავს, გარნა ქართველებს მისთვის არავითარი საბაბი მიუციათ, რომ მას ისინი ეჯავრებოდეს. ინსაბატო სულ კიდევ ცდილობს დაგვიმტკიცოს, რომ რისხვა მისი მიმართული არის ქართველ მენშევიკებისა და მათ ლიდერ ყორდანიასაკენ, მაგრამ ის მე უკვე ზევით საკმაოდ მივახვედრე, რომ განმათავისუფლებელ ომს ეწევა მ თ ე ლ ი ქართველი ერი...

თქმა არ უნდა, რომ «Cor. dipl. e Con.»-ს ეს სტატიები უსიამოვნოდ არ დაურჩება წითელ მოსკოვს! Sapienti sat...

რაფიელ ივანიცკი-ინგილო,
საქართ. პარლამენტის დეპუტატი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთობა და დისციპლინა

ჩვენი საკითხის მეტისმეტი დამძიმების ზოგი სახე აღვნიშნე წინა წერილში. მოსალოდნელი დაბრკოლება და საფრთხე ამით არ ამოიწურება. თანამედროვე მდგომარეობა საერთოდ ძალზე საშიშია პატარა ერებისთვის, იმათვისაც, რომელთაც უკვე დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი არსებობა აქვთ ხანგრძლივი.

ამ პირობებში, რომლებიც, შეიძლება, კატასტროფული გახდეს ჩვენთვის, ბუნებრივად დგება ქართველობის წინაშე სრული ეროვნული ერთობის და დისციპლინის საჭიროება, როგორც აუცილებელი იმპერატივი.

საჭიროა, თავიდანვე გაიფანტოს ყოველი გაუგებრობა და არავინ იფიქროს, თითქოს ჩვენი ძალების ერთობა ყოველ გასაჭირისაგან დაგვიცავს და რაკი ერთად ვიქნებით, ყოველ უბედურებას ავიცდენთ და გავუმკლავდებით, ვინც და რაც არ უნდა დაგვეტაკოს. არა, ერთობა ყველაფერი არაა. მაგრამ უდავოა, ერთობა უმთავრესი და უპირველესი პირობაა გამარჯვების. თუ ერთად ვიქნებით და ერთად ვიმოქმედებთ, მხოლოდ და მხოლოდ ამ შემთხვევაში მივაღწევთ შესაძლებლობის მაქსიმუმს, ჯეროვანად წინააღუდგებით მოპირდაპირეს, სათანადოდ გამოვიყენებთ ხელშემწყობ ვითარებას შინაურს და გარეშეს.

ჩვენი ემიგრაციის მაგალითიც საკმაო მასალას გვაძლევს, თუ რა მნიშვნელობა აქვს ერთობას. ყველა ვხედავთ, რომ ერთმანეთთან დავამ და ბრძოლამ გადაიტანა მთელი ჩვენი ენერგია. ჩვენმა შეუთანხმებლობამ და დაშლილობამ უცხოელებში წონა წაგვართვა; საჭირო პატივი დავკარგეთ მეგობრებსა და მტრებში; ჩვენმა კავკასიელმა მეზობლებმაც სხვანაირად დაგვიწყეს ყურება,—ზევიდან...

იმის თქმა არ მინდა, ორგანიზაცია სრულებით არ გვქონდეს. გვაქვს, ხოლო იგი ყველას არ აერთებს, და ქართველი ემიგრაცია რომ ერთად იყოს დარაზმული, ერთხმად მეტყველობდეს, მის სიტყვას მეტი ფასი დაედებოდა და საქართველოს საკითხს მეტი ყურადღება მიექცევოდა.

დღეს ისეთი დრო დგება, თუ არ დადგა უკვე, რომ დიდი სახელმწიფონი და ერებიც ეროვნულ ძალთა გაერთიანების ძებნაში არიან, თავის არსებობის უზრუნველსაყოფელად. მით უფრო საწადელი გახდა ეს მცირე ერებისთვის, და მაგონდება ნამდვილი მამულიშვილური ამოძახილი ბრიუსელის პარლამენტში ბელგიის საგარეო საქმეთა მინისტრის სპაააკის: «ვაი პატარა ერს დაშლილს და არ გაერთიანებულს!»

ბელგიელმა მინისტრმა დეპუტატებს მიუთითა აწინდელ საერთაშორისო, ასაფეთქებელად გამზადებულ მდგომარეობაზე და დასძინა: ჩვენ ვედავებით ერთიმეორეს, ბევრი საკითხი გვაქვს გადასაჭრელი ეკონომიური, სოციალური, საბიუჯეტო, ჩვენს შორის ზოგი მარჯვნით მიიწევს, ზოგი მარცხნით, მაგრამ რა არის ეს ყველაფერი იმ დიდ ბედნიერებასთან, რომელსაც წარმოადგენს ჩვენი დამოუკიდებლობა და თავისუფლება, და რომლის დასაცავად გაერთიანებული ფრონტით უნდა გამოვიდეთ!

ამას ამბობს ბელგიის შვილი, იმ ბელგიის, რომელსაც მტკიცე სახელმწიფო აქვს და ყოველმხრივ საკმაოდ შეიარაღებულია მოძალადეთა მოსაგერიებლად, და რაღა უნდა ვსთქვათ ჩვენ ქართველებმა, იმ საქართველოს შვილებმა, რომელიც ბელგიაზე სამჯერ პატარაა, დღეს ესოდენ დაცმულია, გაძარცული, გავერანებული, ღირსება-ახდილი და რომელსაც მტრები, შეიძლება, კიდევ უარესს ბედს განუმზადებენ?

ვიცი, ყველანი ერთ ყალიბზე არა ვართ ჩამოსხმულნი, საქართველოშიც ვიყავით პარტიებად დაყოფილნი, აქ უცხოეთში კიდევ ახალი ჯგუფები და დაჯგუფებანი გაჩნდა, მეტად ავჭრელდით, დავშორდით ერთმანეთს, გამასხვავებელი წინა რიგში აიმართა, შემაერთებელი თითქმის წაიშალა, საქართველო გაჭრა და მისი ალაგი ცალკეულმა ჯგუფობამ დაიკავა, ეროვნული შეგნება მიმკრთალდა, თუ მთლად არ მოისპო, და კერძოობითი თავმოყვარეობა გაბატონდა.

ნუ გამოვუდგებით ამის მიზეზების გამოკვლევას, მაგრამ დღეს უკვე ხომ ყველანი ვხედავთ, ვგრძნობთ, უნდა ვგრძნობდეთ ამის დამღუპველობას და მეტს უარესობას, თუ გაგრძელდა. სპააკზე უფრო მეტად, უფრო მწვავედ, ამაღლებულად უნდა ამოსკდეს ჩვენი გულის სიღრმიდან: რას ნიშნავს ჩვენი განსხვავებანი და უთანხმოებანი პოლიტიკური, სოციალური, სოფლმხედველობის, ამა თუ იმ რეჟიმის, მორალის შედარებით იმ უბედურებასთან, რომელშიაც დღეს საქართველო იმყოფება, შედარებით იმ ნეტარებასთან, რომელსაც შეჰქმნის ჩვენთვის მისი განთავისუფლება, დამოუკიდებელი არსებობა, და რომელიც ერთნაირად ძვირფასია ყველასათვის, განურჩევლად?

გადავიფანტოთ ყოველი პიროვნული, ცალკეული, წარმავალი ზენაშენი და ჩავწვდეთ ჩვენს ეროვნულს არსებას, განვიცადოთ ერის სული, ახლოს ვიგრძნოთ მისი გულის ცემა, სრულად გავიცხოველოთ ჩვენს შეგნებაში მშვენიერი მამული, მისი მთა, ბარი, სიმწვანე და ყვავილობა, მდინარეთა ქუხილი, ზღვის ტალღათა ცემა თუ ნანაობა, მისი მზის მცხინვარება და საოცნებო მთვარის შუქები, ჩვენს თვალებს წინ დადგეს ჩვენი განაწამები ერი, ვით ურყევი სინამდვილე, მთელი თავის გრძელი თავგადასავალით, მთელი ტრაგედიით, აღმშენებლობით და თავდაცვით, დაცემით და აღდგენით, დაუსრულებელი ბრძოლებით და გმირობით, უდრეკი ვინაობით და რაობით,—ვეზიაროთ ყველაფერს ამას, შევიცნოთ და თვალიც მიმოვავლოთ ახლანდელ ვითარებას, და ვსთქვათ მტკიცედ, გადაჭრით: შორს ჩვენგან ყოველი განმაცალკევებელი და დამარღვეველი! ყოველი ქართველი, თავის სამშობლოს მოტრფიალე და მისი განთავისუფლებისთვის მებრძოლი, ერის რაზმს ეკუთვნის! ყველა ქართველი ერთხმად ვღაღადებთ ჩვენს უფლებას და ხელჩაკიდებულნი ერთად ვმოქმედებთ და ვიბრძვით!..

ესეთია დღევანდელი დღის და ჩვენი მდგომარეობის ბრძანებითი კარნახი, და ვისაც ეს არ შეუგნია,

ვერ შეუგნია, ამაოდ იტყვის თავის მამულიშვილობას. თუ ჩვენ გვინდა შევასრულოთ ეროვნული მოვალეობა, უფრო ვემსახუროთ მამულს და უკეთესად მივაღწიოთ მიზანს, დაუყონებლივ უკან უნდა დავწიოთ ყოველი პარტიული და ჯგუფური, მივჩრდილოთ, დავაჩუმოთ. როგორი წყობილება დამყარდება საქართველოში, როგორ მოგვარდება სოციალური თუ ფინანსურ-ეკონომიური საკითხები—ეს თვით თავისუფალი საქართველოს შეგნების და ნებისყოფის საქმეა, ხოლო ჯერ—და ესაა აწინდელი ვითარების ამოცანა—საქართველო უნდა იყოს თავისუფალი და თავისთავის პატრონი. საქართველო დამოუკიდებელი,—აი სადღეისო ლოზუნგი, სხვა დღეს არაა საინტერესო. ამ ნიადაგზე უნდა გაერთიანდეს ყველა ქართველი და დაემორჩილოს მკაცრს ეროვნულ დისციპლინას. ჩვენ ღარიბი პატარა ერი ვართ, ემიგრაციაც მცირერიცხოვანია და არ შეგვიძლია ფართო არჩევანი: მოვუწოდოთ გაერთიანებისათვის არა მხოლოდ ას პროცენტიან ქართველ მამულიშვილებს, არამედ იმათაც, რომლებშიაც ქართველური შეგნება ეგებ ათი პროცენტისაც არ არის. დიდია ჩვენი გასაჭირი და ბევრია გასაკეთებელი, ამიტომ უნდა გამოვიყენოთ სულ მცირე ძალაც. უნდა შემოვიერთოთ სუსტი ღონეც, რომ როგორმე თავი დავიცვათ და მტრებმა მთლად არ გაგვსრისონ, არ აღგავონ ქართველი ერი დედა-მიწის პირიდან.

ძალთა ერთობა და ეროვნული დისციპლინის დამყარება არ ჰგულისხმობს პარტიების და ჯგუფების დაშლას. დეე, დარჩეს ეს ორგანიზაციები როგორც უკვე შექმნილი და არსებული, ხოლო სამუშაო საგანი იყოს არა პარტიული საკითხები, არამედ მხოლოდ ქართველი ერის განთავისუფლება და ამისთვის ყველა ეროვნულ ძალის გაერთება და განმტკიცება. პარტიულ ორგანიზაციების სარბიელი უნდა გახდეს ერთმანეთთან გაჯიბრება მეტი ეროვნული შეგნებისა და თავგანწირულობის გამოჩენაში. და როგორც მამაცი და გმირი მეომარი ბრძოლის ველზე არასოდეს იფიქრებს—ჯერ სხვამ გასწიროს თავი და მერე მე მივყვებიო, ასე ქართველი პარტ. ჯგუფური დარაზმულობანი ნურასოდეს მოელოდებიან სხვების მაგალითს, არამედ თვითეულმა მათგანმა პირველმა მისცეს დანარჩენებს კერძოობის დავიწყების და ეროვნული ერთობის საუკეთესო მაგალითი. წინასწარ ვაშა და დიდება იმას, ვინც ამას შესძლებს და უფრო მაღლა ასწევს ეროვნულ დროშას!

დეტალებს არ ვამბობ, არც იმას, თუ პრაქტიკულად და ტექნიკურად როგორ უნდა მოეწყოს ეროვნულ გაერთიანების და დისციპლინის საქმე. პირველია და მთავარი სულიერი ერთობის შექმნა, სხვა თავისთავად მოვა. ყოველი ქართველი საკუთარი განცდით უნდა მივიდეს ამ დასკვნამდე, უნდა გადაახალისოს, აგრე ვსთქვათ, თავის შინაგანი არსება—აზრობაც და გრძნობაც—და დაინახოს მთელი სიცხადით, რომ ეროვნული ერთობა და დისციპლინა არის conditio sine qua ჩვენი მუშაობის, ბრძოლის, გამარჯვების.

ხ. ფირცხალავა.

«გრალის მცველნი»

თუ არ ვცდებით, ეს მეშვიდე წიგნია, რომელიც გრ. რობაქიძემ გერმანულ ენაზე გამოსცა. წინა წიგნებში ავტორი უმთავრესად გვაძლევდა სურათებს მხოლოდ საქართველოს წარსულიდან—როგორც მაგალითად «ქართველი ქალი მეგი»-ში ან «ღმერთი ქალის ძახილში»—ან კიდევ ეხებოდა ზოგად თანამედროვე პრობლემებს (მაგ. ბოლშევიზმს) და საქართველოს ვითარება მხოლოდ მაგალითივით მოჰყავდა, როგორც «მოკლულ სულში» (იხ. «დამ. საქ.» № 106). ცხადია ისინიც ძვირფას განძს წარმოადგენენ საქართველოს უცხოეთისთვის გასაცნობად. მაგრამ ეს უკანასკნელი წიგნი—«გრალის მცველნი»—განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ მხრით, რომ მთელი თავისი დედა-აზრით და შინაარსითაც ქართულია და ამავე დროს სრულიად თანამედროვე და აქტუალურიც.

«გრალი»—წმიდა სასმისი, მსგავსი იმისა, რომელშიაც იოსებ არიმათელი ჯვარცმულ იესოს სისხლს ინახავდა,—ავტორის თხრობით ქართულ ხალხურ თქმულებაშიც შენახულია, როგორც ხელ თუხლებელი სიმბოლო ქართველი ერის არსების და სულის, მისი წარსულის და მარადიულობის. თითქოს ერთ-ერთი მძიმე ომის დროს შორეულ წარსულში, უდიდეს გასაჭირის და სასოწარკვეთის ჟამს, ერთ ქართველ უმანკო ქალწულს ხელთ აუღია ისტორიული ჯვარი ვაზისა; ამ დროს ჯვარზედ ოქროს მტევანი ამოსულა, რომლის წვენი ქართველ მეომართ ზემოაღნიშნულ სასმისში ჩაუსხამთ წმიდა ზიარებად. ეს გამხდარა იმ ომის ქართველთა სასარგებლოდ დასრულების დასაბამად. მას შემდეგ ეს სასმისი თაობიდან თაობამდის გადმოაქვთ ქართველი ერის განმასახიერებელ მეთაურთა მოდგმებს. მას მუდამ ჰყავს შეფიცული შემხახველი დამცველები. მასშია ავტორის მხატვრული გადმოცემათ საქართველოს უკვდავების მაგიური ძალა.

რომანის სახით დაწერილ თხზულებაში გადმოცემულია საქართველოს დიადი წარსულის სურათები: დავით და კონსტანტინეს გმირული და მოწამებრივი სახეები, დავით აღმაშენებლის და თამარის ბრწყინვალე ხანაც, საქართველოს უამრავი აწიოკება მტერთა ურდოების მიერ და სხვა. მაგრამ მის ძირითად შინაარსს წარმოადგენს თანამედროვე საქართველოს ტრაგედია—წითელი მოსკოვის მიერ დაპყრობილი საქართველოს ვითარება და მის შვილთა სხვადასხვა სახის გმირული ბრძოლა. მოთხრობის ცენტრალური ადგილი უჭირავს 1924 წლის აჯანყებას. ავტორი—თავის მთავარი გმირის პირით—ეხება ამ აჯანყების დამარცხების მიზეზებსაც და მისი ორგანიზაციას კრიტიკასაც უკეთებს. მაგრამ ქართველი ერის ბრძოლა თვითარსებობისა და დამოუკიდებლობისთვის, როგორც ასეთი, მთელი მისი თხზულების სულს წარმოადგენს. აქ გამოყვანილია ცნობილი ქართველი მწერლები, მსახიობები, ზოგი აჯანყების მონაწილენიც: ზოგი ნამდვილი სახელ-გვარით, ზოგი ოდნავ შეცვლილად, ზოგიც ფსევდონიმით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს წიგნიც, როგორც უწინდელნიც, გერმანიაში წარმატებით ვრცელდება და ყურადღებას იპყრობს. ქართველი ერი—სამშობლოში თუ მის გარედ—სიხარულის გრძნობით გაიგებს თავისი მწერლის წარმატებას მაღალ-კულტურულსანი უცხოეთის ნიადაგზე და მის მიერ თავისი ეროვნული მოვალეობის პირნათლად შესრულებას.

* * *

ა ნ გ ა რ ი შ ი

ქართული საარქეოლოგიო და საკულტურო მასალების გამოცემის ფონდისა.

როგორც «დამ. საქართველოს» № 139 ში იყო გამოცხადებული, 23 ოქტომბერს 1937 წლისა, ფონდის შემოსავალი იყო 8.809 ფრანკი და 46 დოლარი.

მას შემდეგ შემოსწირეს:

1. ჩრდილო ამერიკის შეერთებული შტატების ახლად დაარსებულის «ქართული საზოგადოების» წევრებმა: პავლე კვარაცხელიამ, კირილე გურგენიძემ, დიმიტრი ალავიძემ, მიშა ლორიამ და ვასო დუმბაძემ საერთოდ 1000 ფრ. (ფული გადმოგვცა საზოგადოების თავმჯდომარემ ვასო დუმბაძემ).

2. ლევან მამულაიშვილმა 100 ფრანკი.

3. ირ. ოთხმეზურმა და ბ-ნ ლაზრიშვილმა (ბრიუსელიდან) 80 ფრანკი.

4. ექიმ იოსებ ცინცაძემ (საფრანგეთის სუდანის ნიორო ქალაქიდან) 500 ფრანკი.

5. რუბენ ყიფიანმა (სოშოდან) 100 ფრანკი.

6. პარიზის ცენტრის წევრებმა 500 ფრანკი.

7. ივანე ზურაბიშვილის ოჯახმა 150 ფრანკი.

8. ყურ. «სამშობლოს» რედაქციამ (ალ. ასათიანის წაიოდგენილი) 200 ფრანკი.

9. პოლონეთში მყოფ ქართველ ოფიცრებმა (ბ ნ ალექსანდრე ბაგრატიონის მიერ წარმოგზავნილი) 570 ფრ. და 85 სანტ. (სია შემომწირ. არ მომსვლია).

10. ექიმ ვ. ალშიბაიამ (ვარშავიდან) 5 დოლარი.

11. ვალიკო ახვლედიანმა (ლევილიდან) 100 ფრ.

12 ელისე პატარიძემ 50 ფრანკი.

13. ისიდორე ქარსელაძემ 25 ფანკი.

14. სოშოს ქართველ კოლონიის წევრებმა 570 ფრანკი. წინეთ, როგორც მოხსენებული იყო უკანასკნელ ანგარიშში, ამათ შემოიტანეს 560 ფრანკი (საერთოდ იქნება 1130 ფრ.). ამის შემომტანი არიან: შავდია იასონ 120 ფრ., ბარამიძე მირიან 120 ფრან., წულაძე ზაქრო 80 ფრ., კვერღველიძე დიომიდე 20 ფ., ჩარკვიანი ლევან 40 ფრ., ნადაშვილი მიხეილ 85 ფრ., ბაქრაძე ლადო 20 ფრ., თავბერიძე ბარნაბ 50 ფრ., ჩიკვილაძე სიმონ 20 ფრ., გაჩეჩილაძე ვალიკო 10 ფ., სალუქვაძე ილია 40 ფრ., მურმანიძე სერგო 100 ფრ., ორაგველიძე კოლია 120 ფრ., ალანია ანტონ 20 ფრ., ჯინჭარაძე მამედ 40 ფ., ახვლედიანი დუდული 120 ფ., ჭირაქაძე სევერიან 65 ფრ., ბერძენიშვილი გიორგი 60 ფრანკი.

უგულითადეს მადლობას ვუძღვნი ყველა ზემოაღნიშნულთ შემომწირველთ.

სულ დღემდის შემოვიდა თავის დროზე დახურდავებულის დოლარების ჩათვლით 14.386 ფრ. და 85 ს.

უკვე დაიბეჭდა ეოთი მოზდილი წიგნი «არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელ ს», რომელიც შეიცავს 440 გვერდს. გამოცემა დაჯდა 15.125 ფრანკი. ამათგან ჯერ ხანად მიეცა ბ ნ ვ. ნოზაძეს, რომელმაც ააწყო წიგნი და ხელმძღვანელობდა გამოცემას, 13 910 ფრანკი. მიცემულია კლიშეების დამზადებაში ვაჩეძორის მონისტრის საბუთებისა (ოლთისის ოკრუგისა) 256 ფრ. და 80 სანტ. მიეცა ი. ზდანევიჩს ოთხთა-ეკლესიის ერთი შენობის გეგმის დამზადებაში 100 ფრანკი. დაიხარჯა მიმართვის დაბეჭვდაში, მისვლა-მოსვლაში, მარკებში, ფოსტის და სხვა წვრილმალ ხარჯებში 120 ფრ. და 5 სან. სულ გაცემული ხარჯი შეადგენს 14.385 ფრ. და 85 ს., ესე იგი იმ თანხას, რაც დღემდის შემოვიდა.

დარჩა მისაცემი ბ-ნ ვ. ნოზაძისათვის 1.215 ფრ. ეს ხარჯი უნდა დაიფაროს მოსალოდნელი შემოწირულობით.

მეორე წიგნში, თუ ეღირსა გამოცემა, მოთავსებული იქნება აღწერილობა ძეგლებისა სამუსულმანო საქართველოსი, კოლა-ტაო-ისპირისა, როგორც შედეგი ჩვენი არქეოლოგიური ექსპედიციებისა 1907 და 1917 წლებში. ამას აუცილებლად დასჭირდება სურათები და მეტს ხარჯს მოითხოვს. ბეჭდვას შეუდგებით, თუ ქართველი ემიგრაცია კვლავ დაგვდებს პატივს და თავის ღარიბ ჯიბიდან გაიღებს საჭირო თანხას.

პატივისცემით მქვთიმე თაყაიშვილი.

ქ ა რ თ ვ ე ლ ე მ ი გ რ ა ც ი ი ს ს ა ყ უ რ ა დ ღ ე ბ ო ლ

დიდის მწუხარებით ვაუწყებთ ქართველ ლტოლვილებს, ჩვენი დიდი მეგობრის ქ-ნ სიუზან აიოს გარდაცვალებას. ვინაიდან ეს სამწუხარო ცნობა ჟურნალის შეკვრის დროს მივიღეთ, ამიტომ განსვენებულის ნეკროლოგს მოვათავსებთ შემდეგ ნომერში.

განზრახულია გარდაცვალების 40 დღის თავზე განსვენებულის საფლავთან ქართველ მეგობართა თავის მოყრა, რაც თავის დროზე ეცნობება ყველას.

წ ე რ ი ლ ი რ ე დ ა ქ ც ი ი ს მ ი მ ა რ თ

ბატონო რედაქტორო!

ნება მოგვეცით თქვენი გამოცემის საშუალებით გულწრფელი და უღრმესი მადლობა გამოვუცხადოთ ყველას, ვინც მონაწილეობა მიიღო ჩვენს მწუხარებაში და პატივი სცა ჩვენს ძვირფას მიცვალებულს.

ელიგულაშვილების და
იაგოდაშვილების ოჯახები.

ა ხ ა ლ ი წ ი გ ნ ი

გამოვიდა ლეისპირელის «დანგრეული ოჯახი», რომელიც გარდა ამ დიდ მოთხრობისა შეიცავს ორს მოკლე ამბავს «ნუცას» და «დამნაშავეა!»-ს

Leuville-sur-Orge. — *Imprimerie de Leuville.*

Le Gérant : J. DUCROS